განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 13.05.2022

დასკვნის წარდგენის თარიღი: 20.06.2022

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს. საქართველოს უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	**205037137**
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ინგლისური ფილოლოგია/English Philoogy
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრი / MA in English Philology
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0231 ენის დაუფლება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ჯოჯუა, სსიპ - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია,	სოფიო უგრეხელიძე - სსიპ - განათლების

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ქვეყანა)	მართვის საინფორმაციო სისტემა, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ კილანავა - შპს ევროპის უნივერსიტეტი. საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ინგა დიაკონიძე, შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი,საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თეონა კუპრაძე - სსიპ - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი ახალი, ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ინიცირებულია შპს საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების სკოლის მიერ უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე და მიზნად ისახავს კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის ,,ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრი“ მინიჭებას.

პროგრამა ინგლისურენოვანია და მოიცავს 120 კრედიტს, რაც გულისხმობს ძირითადი სპეციალობის საგნების ბლოკს – 108 კრედიტი (მათ შორის სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა – 30 კრედიტი), არჩევითი საგნების ბლოკს - 12 კრედიტი.

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარული მეცმიერებების სკოლის მიერ ინიცირებული ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით უნივერსიტეტში 2022 წლის 13 მაისს შედგა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი, რომლის დროსაც, წინასწარ დაგეგმილი და პროგრამის ადმინისტრაციასთან შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით ექპერტებმა ჩაატარეს ინტერვიუ პროგრამაში ჩართულ პირებთან და განახორციელეს პროგრამისათვის განკუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება, ექსპერტებს შესაძლებლობა მიეცათ მშვიდ, კოლეგიალურ და სამუშაო გარემოში შეხვედროდნენ და გასაუბრებოდნენ ხელოვნებისა და ჰუმანიტარული სკოლის ადმინისტრაციას, თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიურ და მოწვეულ პროფესორ-მასწავლებლებს, მომიჯნავე პროგრამების კურსდამთავრებულებსა და სტუდენტებს, პროგრამისათვის პოტენციური და უნივერსიტეტში უკვე არსებული დამსაქმებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებს. ექპერტებმა პროგრამის ჯგუფისგან გამოითხოვეს კონკრეტული დამატებითი დოკუმენტაცია და ვიზიტის ბოლოს ინტერვიუს შედეგები შეაჯერეს, რის შემდეგაც, პროგრამის ჯგუფს ძირითადი მიგნებები გააცნეს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

ინგლისური ფილოლოგიის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა შემუშავებულია შრომითი ბაზრის კვლევით გამოვლენილი მოთხოვნების შესაბამისად კვალიფიციური აკადემიური და ადმინიტრაციული პერსონალის მიერ, რომელიც ეფექტურად თანამშრომლობს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა და სხვა სამსახურებთან პროგრამის დახვეწა-განვითარების მიზნით.

პროგრამის მიზნები და შედეგები აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და გულისხმობს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო სტუდენტზე ორიენტირებული სამეცმიერო-კვლევითი და პრაქტიკული უნარ-ჩვევებითა და ფილოლოგიის ინტერდისციპლინარული ხედვით აღჭურვილი, ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრის მომზადებას, რომლის კვალიფიკაციაც ფასდება სტუდენტზე მორგებული ობიექტური, სამართლიანი და მოქნილი შეფასების მექანიზმებით. სტუდენტებისთვის პროგრამაზე სწავლის პროცესს კომფორტულს და ადვილად ხელმისაწვდომს ხდის პროგრამისათვის განკუთვნილი თანამედროვე ელექტრონული რესურსები და ტექნილოგიური მოწყობილობებით აღჭურვილი აუდიტორიები, ლაბორატორია, საგამოცდო დარბაზი, ბიბლიოთეკა შესაბამისი ატრიბუტებით, რომელიც შეუფერხებლად მუშაობს სტუდენტებისთვის.

პროგრამაში სასწავლო და სამცნიერო კომპონენტი ლოგიკურად, თანმიმდევრულად და კომპლექსურადაა აგებული. მასში შემავალი სასწავლო კურსები თავისი შინაარსითა და სასწავლო ლიტერატურით თანამედროვე მაგისტრანტზეა მორგებული და შეესაბამება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის მოთხოვნებს. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან მაქსიმალური შესაბამისობის მიზნით, საჭიროა, პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის მეტი მუშაობა, ასევე, მისი შინაარსისა და სტრუქტურის მოდიფიცირება და მრავალფეროვანი სასწავლო მეთოდებითა და აქტივობებით მისი გამდიდრება, რათა მეტად იქნეს უზრუნველყოფილი მიზნებისა და შედეგების მიღწევა.

სტანდარტი 1: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 2: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 4: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

*უნდა აღინიშნოს, რომ უსდ-ს მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ რეკომენდაცია II მოდიფიცირებული სახით აისახა წინამდებარე დასკვნაში.

რეკომენდაციები

I. განხორციელდეს ეფექტური ქმედებები პროგრამის ინტერნაცონალიზაციის თვალსაზრისით;
II. პროგრამას დაემატოს ენობრივი კომპეტენციის ევროპული ჩარჩოს (CEFR) მიხედვით C1 დონის ინგლისური ენის გასაუმჯობესებელი კურსი;
III. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი საგნების ბლოკი გადახალისდეს და დაკომპლექტდეს მრავალფეროვანი, სპეციალობასთან ასოცირებული, კვლევასა და პროფესიული დისკურსის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული კურსებით კონკრეტული საგნების შეკვეცის ხარჯზე;

IV. პროგრამის შემადგენელი საგნების კრედიტების რაოდენობა, მათ შორის საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილი დრო გადაიხედოს, მოდიფიცირდეს და მეტად მოერგოს საგნის სპეციფიკასა და შინაარსს;

V. კურსების სილაბუსებში მოცემული სწავლების მეთოდები, შედეგების განსხვავებული მახასიათებლების გათვალისწინებით, რეკომენდებულია, დიფერენცირდეს სწავლების მეთოდების ნაწილში და გაიმიჯნოს აქტივობებისგან, რაც უფრო ნათელს გახდის შედეგების მიღწევის რეალურობას და შექმნის უფრო ზუსტ ბმას სწავლების მეთოდებსა და შედეგებს შორის.

VI. პროგრამის ფარგლებში შემავალ კურსებს, ძირითადი კურსების სწავლების მეთოდების ნაწილში, სასურველია, დაემატოს გუნდური მუშაობისთვის საჭირო მეთოდები/აქტივობები, რაც დასაქმების ბაზრის კვლევის შედეგებით გამოვლენილ საჭიროებებს შესაბამისად უპასუხებს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია

- პროგრამის მიერ დასახული მიზნებისა და მისაღწევი შედეგების უკეთესად გაზომვის მიზნით, კურიკულუმის რუკა მოიცავდეს ინფორმაციას მიზნების და შედეგების შესაბამისობის შესახებ;

- პროგრამის სილაბუსების ფორმატი გახდეს უფრო ინფორმაციული, კერძოდ, მიზანშეწონილია

  ა) სილაბუსებში შეფასების ფორმების და კომპონენტების მეტი დეტალიზაცია; შეფასების სისტემის გრაფაში შეფასების ყველა კომპონენტში (შუალედური, დასკვნითი, პრეზენტაცია) მინიმალური გადასალახი პროცენტულობის/ქულობრივი მაჩვენებლების დამატება სტუდენტთა ამ მხრივ მეტი ინფორმირებულობის მიზნით;

  ბ) ლიტერატურის ბლოკის სტილისტურად და სტრუქტურულად დახვეწა, მათ შორის, დამატებითი ლიტერატურის განსაზღვრა და ჩამოთვლილი ლიტერატურის ხასიათის გამიჯვნა (წიგნი, სტატია, ელრესურსი…), რაც სტუდენტს და ასევე ბიბლიოთეკის თანამშრომელს გაუადვილებს მასზე წვდომას;

  გ) სილაბუსში კურსის შედეგების აქტიური ზმნებით წარმოჩენა;

- უნივერსიტეტმა შეიმუშაოს

  ა) კონკრეტული გეგმა და გაზარდოს ინტერესი სტუდენტებში საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიღებისა, ასევე, ეცადოს, შეამციროს ბარიერები რომლებიც ხელს შეუშლის სტუდენტებს პოტენციური მობილობის განხორციელებაში (მაგალითად, მოქნილი გახადოს კრედიტების აღიარების და შესაბამისობის დადგენის მექანიზმი და სტანდარტები);

  ბ) სტუდენტთა წახალისების ფორმები მათი სამეცნიერო თუ აკადემიური აქტივობის მხარდაჭერისთვის, რაც პროგრამას მეტ მდგრადობას შესძენს.

- დაწესებულებამ მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება, განსაზღვრული პერიოდულობით უზრუნველყოს უცხოელი თუ ქართველი ექსპერტების (მაგალითად, დარგის სპეციალისტები პარტნიორი უცხოური თუ

ქართული საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან, აკრედიტაციის ექსპერტები და სხვ.) ჩართულობით, რომლებიც განახორციელებენ საგანმანათლებლო პროგრამის დამოუკიდებელ შეფასებას და მისი განვითარების მიზნებისათვის, შემდგომში სამსჯელოდ, დაწესებულებას წარუდგენენ რჩევებს, რეკომენდაციებსა და შენიშვნებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

- უსდ-მ უზრუნველყოს მუშაობა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ლექციებზე დამკვირვებლის დასწრების გზით მონიტორინგის მექანიზმის დანერგვისა და ამოქმედებისათვის.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა

დამოუკიდებელი საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსით სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის განხორციელების გზა, რაც საშუალებას აძლევს ნებისმიერ დაინტერესებულ პირის, უნივერსიტეტს წარუდგინოს მის მიერ შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამა და დაინტერესებისა და უნივერსიტეტის მხრიდან თანხმობის შემთხვევაში, განახორციელოს როგორც საკუთარი დაფინანსებით, ისე უნივერსიტეტის საბიუჯეტო რესურსების მონაწილეობის გზით.
უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც რეალურად ხორციელდება სამუშაო პროცესში, სრულად მიღებული და გაზიარებულია როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური პერსონალის მიერ.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზანია ,,ინგლისური ფილოლოგიის სააზროვნო სივრცისათვის რელევანტური თეორიებისა და კვლევის მეთოდების რეალურ პრაქტიკულ კვლევებში სრულფასოვნად და მიზნობრივად გამოყენების უნარის მქონე მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს ინგლისური ფილოლოგიის სააზროვნო სივრცის ინტერდისციპლინარულობის, პოლიპარადიგმულობისა და ინტერპარადიგმულობის გააზრებას, ლინგვისტიკისა და ლიტერატურის, კულტუროლოგიისა და სოციოლოგიის სააზროვნო სივრცეებისათვის რელევანტური თეორიების ექსპლონატორული პოტენციალისა და პრაქტიკული ღირებულების გაცნობიერებას''(გვ. 14, თვითშეფასების ანგარიში). პროგრამით დეკლარირებული მიზანი ნათლად ასახავს თუ რა ცოდნის, უნარების და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა. პროგრამის მიზნები რეალისტური და მიღწევადია. წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში, ფილოლოგიის დარგის მაგისტრანტისათვის აუცილებელი კომპეტენციების უზრუნველყოფა ხდება კლევითი და პრაქტიკული კომპონენტების ერთობლიობით და ინტერდისციპლინალური ხედვით, რაც არსებითად შეესაბამება ანალოგიური პროგრამების ფორმატს საერთაშორისო მასშტაბით და მყარ საფუძველს ქმნის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი კომპეტენციების მქონე პროფესიონალის მომზადების თვალისაზრისით, რომელიც აღჭურვილი იქნება დარგისა და საზოგადოების განვითარებისთვის აუცილებელი პროფესიული კომპეტენციითა და უნარებით. პროგრამის მიზნები სრულ შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მიერ დეკლარირებულ მისიასთან, რომლის თანახმად, საქართველოს უნივერსიტეტი ,,ეწევა ცოდნის წარმოებას და პიროვნების განათლებას, რაშიც იგულისხმება ადამიანში ლიბერალურ-ჰუმანური ღირებულებების გაღვივება და მის აღჭურვა პატიოსანი შრომით წარმატების მისაღწევად საჭირო ცოდნითა და უნარებით და ამით ხელს უწყობს საზოგადოების დემოკრატიულ განვითარებას, ქართველი ერისა და კაცობრიობის საკეთილდღეოდ“ (თვითშეფასების ანგარიში, გვ. 14). პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებს. მაგისტრთა დასაქმების შესაძლებლობებისა და ბაზარზე არსებული ტენდენციების იდენტიფიცირების მიზნით, უნივერსიტეტმა ჩაატარა შრომის ბაზრის კვლევა. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი ,,დასაქმების ბაზრის კვლევა ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამისათვის'' მოიცავს და აანალიზებს ყველა დაინტერესებული პირის გამოკითხვის შედეგად მიღებულ მონაცემებს ისევე, როგორც

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ კვლევებსა და სტატისტიკურ მონაცემებს. განხორციელებული კვლევის თანახმად, ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრთა პოტენციურ დამსაქმებლებად მოიაზრება ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, სახელმწიფო სტრუქტურები და არასამთავრობო ორგანიზაციები, გამომცემლობები და საელჩოები, ინგლისური ენის შემსწავლელი ცენტრები და ორგანიზაციები. იგივე კვლევა ადასტურებს, რომ განსაკუთრებით მაღალია ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრის დასაქმების შესაძლებლობა ინგლისური ენის პრაქტიკული კურსის მასწავლებლად. კვლევის ამ კონკრეტულ შედეგთან მიმართებაში, ექსპერტთა ყურადღება მიიპყრო იმ ფაქტმა, რომ წარმოდგენილი პროგრამის ძირითად მიზანს არ წარმოადგენს პედაგოგის მომზადება. მიუხედავად ამისა, შემოთავაზებული არჩევითი კურსები შესაძლებლობას აძლევს მაგისტრანტს, სურვილის შემთხვევაში, შეიძინოს ზემოაღნიშნული მიმათულებით დასაქმებისთვის საჭირო ცოდნა და კომპეტენცია, თუმცა, პროგრამა არ ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტს. ექსპერტთა ჯგუფმა დააყენა ეს საკითხი პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუზე, რის შედეგადაც გამოიკვეთა შემდეგი გარემოება: მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა მიზნად არ ისახავს პრაქტიკული კურსების პედაგოგის მომზადებას, მომიჯნავე პროგრამის (ინგლისური ენის ფილოლოგიის ქართულენოვანი სამაგისტრო პროგრამა) კურსდამთავრებულები წარმატებით საქმდებიან პედაგოგებად. დამსაქმებლებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ ისინი მჭიდროდ თანამშრომლობენ აღნიშნულ პროგრამასთან, და თავად უზრუნველყოფენ ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრებს საჭირო პედაგოგიური პრაქტიკით. სწორედ აღნიშული გამოცდილების გათვალისწინებით და დამსაქმებლების რეკომენდაციით, წარმოდგენილ სამაგისტრო პროგრამაში მოხდა ისეთი არჩევითი კურსების ინტეგრირება, რომელიც, სურვილის შემთხვევაში, საჭირო ცოდნასა და კომპეტენციას მიაწვდის მომავალ პედაგოგს.

უნივერსიტეტის ადმინისიტრაციასა და პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუს შედეგად ცნობილი გახდა, რომ მოთხოვნა ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამაზე ინგლისური ფილოლოგიის მიმართულებით, გამოიკვეთა შიდა საუნივერსიტეტო მასშტაბითაც. უნივერსიტეტში უკვე არსებული ინგლისურენოვანი ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ადგილობრივმა და უცხოელმა კურსდამთავრებულებმა გამოხატეს შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების სურვილი და ფილოლოგიაში ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის არარსებობის გამო, ისინი იძულებული გახდნენ სწავლა მომიჯნავე ინგლისურენოვან პროგრამებზე გაეგრძელებინათ, რამაც დამატებითი მოტივაცია მისცა უნივერსიტეტს შეექმნა და განეხორციელებინა ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა.

ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციების გამოვლენის მიზნით, უნივერსიტეტმა ასევე განახორციელა ბენჩმარკინგი (სამაგიდო კვლევა), რომლის მიზანი იყო წარმოდგენილი პროგრამის შედარება როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში მოქმედ ანალოგიურ პროგრამებთან.

ინტერნაციონალიზაცია უნივერსიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეულ მიმართულებას წარმოადგენს. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვის მექანიზმი. უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურები (საერთაშორისო ურთერთობების განყოფილება, PR-ის და მარკეტინგის განყოფილება) მჭიდროდ და ეფექტურად თანამშრომლობენ სხვადასხვა საგანმანათლებლო ინსტიტუციებთან და სააგენტოებთან ამ მიმართულებით.

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი ფილოლოგიის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა მოიცავს ინტერნაციონალიზაციის ხედვას და ასპექტებს. სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის კვლევის შედეგების ინტერნაციონალიზაცია საერთაშორისო გამოცემებში პუბლიკაციების განთავსებით და საერთაშორისო კონფერენციებში

მონაწილეობით დასტურდება. ექსპერტთა მიერ გამოთხოვილი დამატებითი დოკუმენტაციის საფუძველზე დადასტურდა და შეივსო მონაცემები იმის თაობაზე, რომ პროგრამა თანამშრომლობს საფარიკის უნივერსიტეტთან (სლოვაკეთი). აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში უნივერსიტეტმა მოიპოვა წარმოდგენილი პროგრამის შეფასება უცხოელი კოლეგის მიერ. ასევე, აღნიშნულ უსდ-თან ინგლისური ფილოლოგიის ქართულენოვანი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა რამდენიმე პროფესორის და 1 სტუდენტის (მომიჯნავე პროგრამიდან) გაცვლა. ასევე, მემორანდუმის საფუძველზე, 2014-2015 წელს განხორციელდა მომიჯნავე პროგრამის 2 სტუდენტის გაცვლა პოლონეთში, ლოძის უნივერსიტეტში.

აღსანიშნავია, ის ფაქტიც, რომ პროგრამა მოიცავს ისეთ სასწავლო კურსებს, რომლებიც მიმართულია, აღჭურვოს სტუდენტი ინტერნაციონალიზაციისთვის საჭირო ცოდნითა და უნარებით (მაგალითად, როგორიცაა, კურსი ,,ინტერკულტურული კომუნიკაცია").

მოწოდებული დოკუმენტაციის თანახმად, უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს საერთაშორისო ხელშეკრულებები სხვადასხვა უცხოურ უსდ-ებთან. თუმცა, უმეტესობა ზოგადსაუნივერსიტეტო ხასიათს ატარებს, სხვა სფეროს ფარავს, ან გასაახლებელია. ექსპერტთა ჯგუფმა სცადა, დაეზუსტებინა აღნიშნული საკითხი უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ინტერვიუების დროს. სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ მოწოდებული დოკუმენტაცის (საერთაშორისო მემორანდუმები) უმეტესობა ასახავს საქართველოს უნივერსიტეტის საერთაშორისო თანამშრომლობებს ზოგადად და არა წარმოდგენილი ან მომიჯნავე პროგრამის ფარგლებში. რაც შეეხება ვადაგასულ მემორანდუმებს, ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ისინი ადვილად განახლებადია.

წარმოდგენილი პროგრამის განმახორციელებლები ადასტურებენ პროგრამის ინტერნაცონალიზაციის შემდგომი განვითარების შესაძლებლობებს. ინტერვიუებზე გამოიკვეთა, რომ მათ უკვე აქვთ რესურსი პროგრამაში უცხოელი აკადემიური პერსონალის ჩართვის თვალსაზრისითაც. მაგალითად, თანამშრომლობა იგეგემება ამერიკელ პროფესორთან, რომელიც უკვე ჩართულია საქართველოს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში, თუმცა, მოცემულ და მომიჯნავე პროგრამასთან მიმართებითაც, ამ ეტაპზე, აღნიშნული საკითხი მხოლოდ სამომავლო პერსპექტივაა.

მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან გასაუბრების დროს გამიოკვეთა არაერთგვაროვანი დამოკიდებულება და ინტერესი გაცვლითი პროგრამების მიმართ. კერძოდ, დასაქმებული სტუდენტები და კურსდამთავრებულები ნაკლებ ინტერესს იჩენენ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისადმი, თუმცა, არიან ისეთებიც, რომლებიც გამოხატავენ მზაობას და სურვილს, მიიღონ მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში, როცა ამის შესაძლებლობა მიეცემათ, კერძოდ, როცა ხელისაწვდომი იქნება ისეთი სასწავლო კურსების არჩევანი, რომელთა აღიარება მოხდება იმ პროგრამის ფარგლებში, რომელზეც სწავლობენ, მაგრამ აქამდე ამის შესაძლებლობა არ მიეცათ. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ საჭიროა უფრო ქმედითი აქტივობების განხორციელება გაცვლითი პროგრამების მეტი შესაძლებლობების შესაქმნელად.

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის შინაარსის, მიზნების, შედეგების და, განსაკუთრებით, მისანიჭებელი კვალიფიკაციის გათვალისწინებით, კერძოდ, იმ არსებული გარემოებით, რომ პროგრამა ამზადებს მაგისტრანტს ინგლისურ ფილოლოგიაში, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ პროგრამა საჭიროებს გაძლიერებას ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით.

უნივერსიტეტის ვებ-გვერდთან გაცნობის შედეგად გამოვლინდა, რომ უნივერსიტეტში მოქმედი მომიჯნავე პროგრამის მიზნები საჯარო და ხელმისაწვდომია. უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა მათი ჩართულობა წარმოდგენილი პროგრამის მიზნების

შემუშავების პროცესში, რაც დასტურდება დოკუმენტურადაც. აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში ინფორმაცია პროგრამის შესახებ განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა; ▪ საქართველოს უნივერსიტეტის მისია; ▪ დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი; ▪ საქართველოს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დებულება; ▪ პრემიის გაცემის ინსტრუქცია; ▪ უნივერსიტეტის ვებგვერდი; www.ug.edu.ge; სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებგვერდი (www.eqe.ge); ▪ აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგები. ▪ ინფორმაცია გაცვლითი სტუდენტების შესახებ (მომიჯნავე პროგრამის ფარგლებში).
რეკომენდაციები: • განხორციელდეს ეფექტური ქმედებები პროგრამის ინტერნაცონალიზაციის თვალსაზრისით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის o
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ მიზნებს. პროგრამის შედეგები აკმაყოფილებს განახლებული საკვალიფიკაციო ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებული დარგობრივი მახასითებლების მოთხოვნებს. შედეგები ჩამოყალიბებულია 3 კატეგორიად: ცოდნა, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა და მოიცავს დარგისა და შესაბამისი საგანმანათლებლო საფეხურისთვის წაყენებულ საკვალფიკაციო მოთხოვნებს.

პროგრამის შედეგები გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია. მოწოდებულ დოკუმენტაცისთან გაცნობისა და პროგრამის წარმომადგენლებთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ პროგრამის შედეგების შეფასება ხდება უნივერსიტეტში აპრობირებული პირდაპირი (სემინარები, პრეზენტაციები და ა.შ) და არაპირდაპირი (სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვა, აკადემური პერსონალისა და დამსაქმებლებლების გამოკითხვა, ინტერვიუები და ა.შ.) მეთოდებით. შედეგების გაზომვა ხდება გამოკითხვის შედეგების გაანალიზების საფუძველზე, გაიცემა რეკომენდაციები.

მოწოდებულ დოკუმენტაციაში ხელმისაწვდომია პროგრამის შედეგების რუკა, რომელიც აღწერს სასწავლო კურსების შედეგების პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობას. თუმცა, რუქა არ არის ინფორმაციული პროგრამის მიზნების და მისი მისაღწევი შედეგების შესაბამასობის ასახვის თვალსაზრისით, აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ მეტი თვალსაჩინოებისთვის, სასურველია, კურიკულუმის რუკა ასახავდეს პროგრამის მიზნებსა და შედეგებს შორის არსებულ ბმას.

სწავლის შედეგები სრულიად შეესაბამება დარგის სპეციფიკას, შრომის ბაზრის და კურსდამთავრებულთა პროფესიით დასააქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობებს.

პროგრამაში ჩართულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის მიზნების შემუშავებაში აქტიურად იყვნენ ჩართულები აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. მოსაზრებების და რეკომენდაციების გაცვლა ძირითადად სკოლის მიერ შემუშავებული კითხვარის საფუძველზე ხორციელდებოდა.

მოწოდებულ დოკუმენტაციასთან გაცნობისა და მომიჯნავე პროგრამაში ჩართულ პირებთან ინტერვიუს შედეგად ასევე დასტურდება, რომ პროგრამის განმახორციელებლები უზრუნველყოფენ დაინტერესებული პირებისთვის სწავლის შედეგების გაცნობას, იღებენ მათგან უკუკავშირს და რეკომენდაციებს, რათა მოახდინონ პროგრამის შემდგომი კორექტირება/ მოდიფიცირება მისი შემდგომი დახვეწა განვითარების მიზნით.

განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და შეფასების სისტემა. საჭირო მონაცემთა შეგროვება მოხდება 2 წელიწადში ერთხელ.

პროგრამის მიზნებისთვის განსაზღვრულია სამიზნე ნიშნულები. აკადემიური მოსწრების ანალიზისას და სასწავლო კურსების სამიზნე ნიშნულის დადგენისას პროგრამა ეყრდნობა კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემაში (ECTS) შემუშავებულ სტუდენტთა რანჟირების შკალას, რომელიც პრაქტიკულად ემთხვევა გაუსის ნორმალურ განაწილებას. სწავლის თითოეული შედეგის გაზომვა ხორციელდება პროგრამაში მოცემული სწავლის შედეგების სემესტრული შეფასების გეგმის საფუძველზე,

რომლის თანახმადაც შეფასება ხდება იმ სემესტრის ბოლოს, რომელშიც მიღწეულ იქნა სწავლის აღნიშნული შედეგი. სააკრედიტაციო ვიზიტის ფარგლებში ჩატარებულმა ინტერვიუებმა დაადასტურა თვითშეფასების ანგარიშით მოწოდებული ინფორმაცია, რომ პროგრამის აკადემიური პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს და ჩართული იყო ამ შედეგების შემუშავებისა და მათი შეფასების მეთოდების განსაზღვრაში, უფრო მეტიც, მოწოდებული დოკუმენტაციისა და პროგრამის განმახორციელებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ისინი იღებენ მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის. ასევე, ხარისხის უზუნველყოფის სამსახურის ინიციატივით ხშირად ტარდება ტრენინგები სწავლა-სწავლების მეთოდებთან და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების თაობაზე. სწავლების შედეგების შეფასება ხორციელდება პროგრამაში ჩართული ყველა დაინტერესებული პირის მიერ. მომიჯნავე პროგრამის განმახორციელებელ მხარეებთან შეხვედრაზე დადასტურდა, რომ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, თუ რამდენად მიაღწიეს სწავლის შედეგებს. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფს საშუალება მიეცა, გაცნობოდა UG online სისტემას, რომელიც ეფექტურად უზრუნველყოფს პროგრამის შედეგებთან დაკავშირებით უკუკავშირის მიწოდებას, ისევე როგორც აკადემიურ პერსონალთან და პროგრამის სხვა განმახორციელებლებთან კონსულტაციის ორგანიზებას საჭიროების შემთხვევაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით • ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა; • დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი; • სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი; • პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი; • სწავლის შედეგების რუკა; • საგანმანათლებლო პროგრამის დებულება; • ჩატარებული ტრენინგების სია; • საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“; სწავლის სფეროების კლასიფიკატორი.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • პროგრამის მიერ დასახული მიზნებისა და მისაღწევი შედეგების უკეთესად გაზომვის მიზნით, სასურველია, კურიკულუმის რუკა მოიცავდეს ინფორმაციას მიზნების და შედეგების შესაბამისობის შესახებ;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. **სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მოცემული დოკუმენტაციის ანალიზსა და აკრედიტაციის ვიზიტზე დაყრდნობით ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტთა დაშვება განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე მკაფიოდ განსაზღვრული, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურების თანახმად, როგორც საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის; კერძოდ, საქართველოს მოქალაქეები პროგრამაზე დაიშვებიან ერთიანი სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე ან 2011 წლის 29 დეკემბრით დათარიღებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224/ნ ბრძანების შესაბამისად, ინგლისურ ენაში (წერითი) და სპეციალობაში (ზეპირი) გამოცდის წარმატებით გავლის, ადმინისტრაციული რეგისტრაციისა და უნივერსიტეტის პრეზიდენტების ბრძანების საფუძველზე.
უცხოელი აბიტურიენტები პროგრამაზე დაიშვებიან ერთიანი სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე, თუ მათ მიიღეს სრული საბაკალავრო განათლება საზღვარგარეთ ან მისი ექვივალენტი, ან/და ბოლო ორი წლის განმავლობაში ისწავლეს საზღვარგარეთ, ან უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ ბოლო ორი ან მეტი წლის განმავლობაში და სწავლობენ საზღვარგარეთ მასპინძელი ქვეყნის კანონმდებლობით აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო ინსტიტუტებში.

პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთათვის ინგლისური ენის სავალდებულო კომპეტენციად განსაზღვრულია B2 დონე, რომლის დადასტურებაც აბიტურიენტს შეუძლია ორი გზით; ა) წარმოადგინოს საერთაშორისო სერტიფიკატები: TOEFL IBT – მინიმალური ქულა 80; IELTS – მინიმალური ქულა 6; PTE General – მინიმალური დონე B2; FCE – მინიმალური დონე B. ბ) ჩააბაროს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული B2 დონის შესაბამისი შიდა ტესტი, სადაც უნდა გადალახოს 70%-ი.

მოცემული წინაპირობა, ლოგიკურია და უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი კომპეტენციისა და უნარების მქონე პირთა ჩართვას უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის სასწავლო პროცესში. რაც შეეხება პროგრამის დასაძლევად აუცილებელ ცოდნას, ინგლისური ენის კომპეტენციის დადასტურების შემდეგ აბიტურიენტმა დამატებით უნდა ჩააბაროს გასაუბრება სპეციალობაში წინასწარ შერჩეული საკვანძო თემატიკის ირგვლივ პროგრამის შინაარსიის გათვალისწინებით (მაგ., სემიოტიკა, ჟანრი და დისკურსი, ენა და კულტურა, ლიტერატურა და კულტურა და ა შ.), რომელიც ფასდება 5 ქულიანი შკალით (მინიმალური ბარიერი 3 ქულა), ასევე წინასწარგაწერილი კრიტერიუმების მიხედვით.

რაც შეეხება პროგრამის წინაპირობებისა და პროცედურების საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას, პროგრამა ახალია, და ბუნებრივია, მის შესახებ ინფორმაცია ჯერჯერობით არ არის საჯარო და ხელმისაწვდომი ფართო საზოგადოებისთვის, თუმცა, აკრედიტაციის შემთხვევაში, როგორც ინტერვიუს შედეგებიდან გამოიკვეთა, ინფორმაცია სრულად გამოქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (www.ug.edu.ge) ინგლისურ ენაზე სამაგისტრო პროგრამების ბლოკში; ასევე გავრცელდება ონლაინ სივრცეში სხვადასხვა სოციალური ქსელის საშუალებით, რომელსაც უნივერსიტეტი აქტიურად იყენებს პროგრამების შესახებ ინფორმაციის გავრცელებისა და პოპულარიზაციის მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- o

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ **_შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის პერსონალის მიერ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პროგრამის ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ ინგლისური ფილოლოგიის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის ინიცირების ერთ-

ერთი მთავარი საფუძველი შრომის ბაზრის კვლევით გამოვლენილი საჭიროებისა და ფინანსური დაინტერესების გარდა, სტუდენტების მხრიდან ინგლისურენოვანი პროგრამების მიმართ კითხვარებში დაფიქსირებული მზარდი ინტერესი გახდა (ინგლისურენოვან პროგრამებზე სწავლის სურვილი უნივერსიტეტის 149 სტუდენტმა გამოთქვა). შედეგად, ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორის ინიციტივით საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, პოტენციური დამსაქმებლისა და სტუდენტის მონაწილეობით შემუშავდა პროგრამა; კერძოდ, შეიქმნა საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების საბჭო, რომელსაც დაევალა ინგლისური ფილოლოგიის საინიციატივო პროექტის შექმნა შესაბამისი ინფორმაციული უზრუნველყოფით (კურიკულუმის ზოგადი მონახაზი, პროგრამაზე მოთხოვნის ანალიზი, პროგრამის შესაძლო სწავლის საფასური, პროგრამაზე მისაღები კონტიგენტი, საჭირო მატერიალური/ლაბორატორიული რესურსი, პროგრამის კომერციული ან რეპუტაციული მიზანშეწონილობა და ა შ.). ინტერვიუმ და წარმოდგენილმა დოკუმენტაციის ანალიზმა ცხადყო, რომ მოცემულ პროცესში ყველა დაინტერესებული პირი მონაწილეობდა კითხვარების შევსებისა და საბჭოს შეხვედრების, ასევე არაოფიციალური კომუნიკაციის გზით.

ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად; კერძოდ, მისი მოცულობა, კომპლექსურობა და შინაარსი შეესაბამება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურს _ მაგისტრატურას. პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, რომელიც გადანაწილებულია პროგრამის 14 ძირითად (108 ECTS-მათ შორის სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა – 30 კრედიტი) და 18 ასარჩევ საგანზე (12 ECTS). მაგისტრანტთა საქმიანობა, მათ შორის ლექციაზე დასწრება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მეცადინეობა, დამოუკიდებელ მეცადინეობა, გამოცდების მომზადება–ჩაბარებას, რეფერატის მომზადება/პრეზენტაციას ფასდება კრედიტით, რომელიც (1 ECTS) საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციით უტოლდება 25 ასტრონომიულ საათს.

პროგრამის კომპლექსურობა ვლინდება ორივე ბლოკში შემავალი თეორიასა (მაგ., ,,თანამედროვე ლინგვისტიკა“, ,,ლიტერატურის თეორია, კრიტიკა და ისტორია I და II“ და ა.შ)) და პრაქტიკაზე ორიენტირებული სასწავლო კურსების (მაგ. ,,ბიზნესკომუნიკაცია“, ,, პროექტის მენეჯმენტი“) და სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტის არსებობით (მაგ., სამაგისტრო ნაშრომი, ,,ლინგვისტური კვლევის მეთოდები“ ,, გამოყენებითი ლინგვისტიკა“, და ა.შ). ეს უკანასკნელი პროგრამაში ლოგიკურად და თანმიმდევრულად არის დალაგებული; კერძოდ, სწავლების მე-4 სემესტრში შეთავაზებული სამაგისტრო ნაშრომისათვის აუცილებელი კვლევითი უნარების გამომუშავება ხორციელდება თანდათანობით, პირველ და მეორე სემესტრებში შეთავაზებულ ძირითად და არჩევით კურსებში- (მაგ., ,, ლინგვისტური კვლევის მეთოდები“, ,,მხატვრული ტექსტის ლინგვისტური ანალიზი“, ,, გამოყენებითი ლინგვისტიკა“, ,, სოციოლინგვისტიკა“ და სხვ.) ჩაშენებული მცირე კვლევების საშუალებით. პროგრამის სასწავლო კომპონენტიც ლოგიკური და თანმიმდევრულია და ადეკვატურად ითვალისწინებს კომპონენტზე დაშვების წინაპირობებს. ასე მაგალითად, პირველ სემესტრში ძირითადი საგნების ბლოკში შეთავაზებულია კურსი ,,თანამედროვე ლინგვისტიკა“, რომელსაც მეორე სემესტრში ლოგიკურად მოსდევს ,,პარადიგმები და ტენდენციები თანამედროვე ლინგვისტიკაში“; მეორე და მესამე სემესტრის არჩევითი საგნების ,,პრაგმატიკა“, დისკურსის ანალიზი“ და ,,სოციოლინგვისტიკა“ წინაპირობაა ,,თანამედროვე ლინგვისტიკა“, რომელიც სავალდებულო საგანია და ისწავლება პირველ სემესტრში.

ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

მისანიჭებელი კვალიფიკაციის _ ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრი შესაბამისია და უმეტესად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა, ექსპერტების აზრით, იმისათვის, რომ ყველა შედეგი მაქსიმალურად იყოს მიღწეული სამიზნე, ინგლისურ ენაზე, **აუცილებელია, პროგრამას დაემატოს ენობრივი კომპეტენციის ევროპული ჩარჩოს (CEFR) მიხედვით C- პროფესიული კომუნიკაციის დონის ინგლისური ენის გასაუმჯობესებელი კურსი შესაბამისი შეფასების მექანიზმით,** მითუმეტეს, რომ პროგრამის შედეგებში ფიგურირებს C1 დონის ტექსტების შედგენა, პროფესიული კომუნიკაცია და სხვ. გარდა ამისა, სამაგისტრო ნაშრომი ინგლისურ ენაზე სრულდება, რაც უდავოდ მოითხოვს C1 დონის შესაბამისი ისეთი პროფესიული ენობრივი კომპეტენციის უნარების დადასტურებას, როგორიცაა ,,რთული, ვრცელი ტექსტების ფართო სპექტრის გაგებისა და იმპლიციტური მნიშვნელობის წვდომის უნარი, კომპლექსურ საკითხებთან დაკავშირებით ნათლად, სტრუქტურირებულად და დეტალურად აზრის წერილობით გამოთქმისა და ამ პროცესში ტექსტის შემაკავშირებლად სხვადასხვა შესაბამისი საშუალებების გამოყენების უნარი“ და ა. შ. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის სწავლების ენა ინგლისურია, რაც თავისთავად გულისხმობს სამიზნე ენის დახვეწას ვრცელი მასალის მოსმენა/კითხვა/დამუშავების გზით, ვფიქრობთ, მოცემული უნარები იმდენად საკვანძოა ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრისთვის, რომ საჭიროა მათი გამომუშავება/ დადასტურება/შეფასება პროგრამის ფარგლებში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტთა ჯგუფისთვის მისაღებია პროგრამის პერსონალის მიერ წარმოდგენილი არგუმენტები და მზაობა, დაამატოს მოცემული კურსი პროგრამის არჩევითი საგნების ბლოკში.

პროგრამის სტრუქტურასთან დაკავშირებით ასევე უნდა აღინიშნოს, რომ არჩევითი საგნების ბლოკში გაერთიანებული 18 კურსიდან 7 ორიენტირებულია პედაგოგიკისა და განათლების სხვადასხვა საკითხის შესწავლაზე (მაგ., ,,განათლების ფილოსოფია“, ,,განათლების სოციოლოგია“, ,,განათლების პოლიტიკა და გლობალიზაცია“, ,,განათლების ლიდერობა და მართვა“ და ა.შ.). მართალია, შრომითი ბაზრის კვლევისა და ინტერვიუს შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა საგანმანათლებლო-სასწავლო დაწესებულებებში კურსდამთავრებულების ინგლისური ენის პედაგოგად დასაქმების პერსპექტივები (ვრცლად იხ. 1.1. სტანდარტი), ინტერვიუზე ისიც აღინიშნა, რომ დასაქმების საუნივერსიტეტო პრაქტიკიდან გამომდინარე, რეალური დამსაქმებელი სასწავლო დაწესებულებები თავად გადაამზადებს კადრებს და უზრუნველყოფს მათი ინგლისური ენის მასწავლებლისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევებით აღჭურვას. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის შედეგების უკეთ უზრუნველსაყოფად, **მიზანშეწონილია, საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი საგნების ბლოკი ზემოთაღნიშნული საგნების შეძლებისდაგვარად შეკვეცის ხარჯზე მაქსიმალურად გადახალისდეს და დაკომპლექტდეს მრავალფეროვანი, სპეციალობასთან ასოცირებული, კვლევასა და პროფესიული დისკურსის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული კურსებით, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწავლების მეორე საფეხურზე.**

ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამისა და თანდართული სილაბუსების, ასევე პროგრამის პერსონალთან ინტერვიუს შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ პროგრამა ეხმიანება ინგლისური ფილოლოგიის დარგის თანამედროვე მიღწევებსა და სიახლეებს, რაც დასტურდება ფილოლოგიის სააზროვნო სივრცის ბოლოდროინდელი თემატიკისა და ტენდენციების ამსახველი კურსების (მაგ., გენდერული საკითხები, მედია დისკურსი, ბიზნესკომუნიკაცია, გამოყენებითი ლინგვისტიკა, ინკლუზიური განათლება, ლიტერატურულ კრიტიკაში მე-19 საუკუნიდან პოსტმოდერნიზმამდე არსებული ტენდენციები და სხვ.) პროგრამაში ინტეგრირებით

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან და ვებ-გვერდთან გაცნობამ, ისევე როგორც ინტერვიუს შედეგებმა ცხადყო, რომ საქართველოს უნივერსიტეტი აკრედიტაციის შემთხვევაში პროგრამის შესახებ სრულ ინფორმაციის ათავსებს ვებ-გვერდზე (www.ug.edu.ge), და უნივერსიტეტის შესაბამის სკოლებთან თანამშრომლობით უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას დაინტერესებული პირთათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია და წესი; ▪ საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით; ▪ კურიკულუმის რუკა; ▪ ინტერვიუს შედეგები; ▪ პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის მტკიცებულება- ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის საბჭოს სხდომის ოქმი; ▪ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
რეკომენდაციები: ● პროგრამას დაემატოს ენობრივი კომპეტენციის ევროპული ჩარჩოს (CEFR) მიხედვით C 1 დონის ინგლისური ენის გასაუმჯობესებელი კურსი; ● საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი საგნების ბლოკი გადახალისდეს და დაკომპლექტდეს მრავალფეროვანი, სპეციალობასთან ასოცირებული, კვლევასა და პროფესიული დისკურსის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული კურსებით კონკრეტული საგნების შეკვეცის ხარჯზე
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის, თანდართული სილაბუსებისა და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს შედეგების ანალიზით დასტურდება, რომ პროგრამის ძირითადი საგნების ბლოკის შემადგენელი კურსების შედეგები შეესაბამება პროგრამის შედეგებს და გეგმავს ისეთი პროფესიონალის მომზადებას, რომელსაც ექნება ინტერდისციპლინარული ხედვა ფილოლოგიისადმი, ეცოდინება ლინგვისტიკის თანამედროვე ტენდენციების და კონცეფციების სამეცნიერო მახასიათებლები, ინტერკულტურული კომუნიკაციის ძირითადი პრინციპები, მხატვრული ტექსტის ლინგვისტური ანალიზის მეთოდები და პროექტის მართვის მექანიზმები; პროგრამა ორიენტირებული მოცემული ცოდნის პრაქტიკულ აპლიკაციაზე ,კურსდამთავრებულებში კრიტიკული ანალიზისა და აზროვნების, ეფექტური კომუნიკაციისა და სამეცნიერო-კვლევითი უნარების გამომუშავებაზე; ასევე, აკადემიური კეთილსინდისიერების მნიშვნელობის გააზრებასა და მისი დაცვით დამოუკიდებელი კვლევის განხორციელებაზე.

აღნიშნული შედეგები მიიღწევა პროგრამის ძირითადი საგნების ბლოკში შემავალი ისეთი კურსების საშუალებით, როგორიცაა ,,თანამედროვე ლინგვისტიკა“, ,,ენა, კულტურა და საზოგადოება“, ,,ინგლისური ენა დროსა და სივრცეში“, ,,ლიტერატურის თეორია, კრიტიკა და ისტორია I და II“, ,,პროექტის მენეჯმენტი“, ,,ლინგვისტური კვლევის მეთოდები“, ,, მხატვრული ტექსტის ლინგვისტური ანალიზი“, ,,აკადემიური წერა და კვლევა“ და სხვ. სადაც მოცემული კურსების შინაარსი მათი შედეგების ადეკვატურია. აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით დამოუკიდებელი კვლევის უნარები გამომუშავდება საგნებში ჩაშენებული მცირე კვვლევებისა და რეფერატების საშუალებით, რომელსაც დააგვირგვინებს სამაგისტრო ნაშრომი.

რაც შეეხება თითეული კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობას საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობის ჩათვლით, ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობასა და შესაბამისი სწავლა-სწავლების მეთოდების (ლექცია, პრაქტიკული, სემინარი, ლაბორატორია და სხვა) განსაზღვრის სპეციფიკას, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამაში, ექსპერტთა ჯგუფის ყურადღება მიიქცია შემდეგმა გარემოებამ:

ა) სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამისა და სილაბუსების მიხედვით, პროგრამის შემადგენელი თითქმის ყველა საგნისათვის (გარდა სამაგისტრო ნაშრომის (30 კრედიტი) და 2 კურსისა-,,ლინგვისტური კვლევის მეთოდები“(3 კრედიტი), ,,ტექსტი და კონტექსტი“ (9 კრედიტი) განკუთვნილია 6 კრედიტი, განურჩევლად საგნის სპეციფიკის და მის ფარგლებში ასათვისებელი მასალის მოცულობისა (მაგ., კურსში ,,ჰეროიზმი ლიტერატურა და საზოგადოებაში“ მითითებულია 21 ძირითადი ლიტერატურა, ხოლო კურსში

,,ინკლუზიური გაანთლება“ - 1. ორივე კურსი 6 კრედიტიანია და მსგავსი შემთხვევები ხშირია პროგრამაში).

ბ) გარკვეული ბუნდოვანება გამოიწვია კურსის ასათვისებლად საჭირო დამოუკიდებელი საათების გადანაწილების პრინციპმაც. მაგალითად, საგანში- ,,ბიზნესკომუნიკაცია“ დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილია 117 საათი, ხოლო კურსისთვის ,,ლინგვისტური კვლევის მეთოდები“ - 42 საათი, მაშინ როცა, ამ უკანასკნელ საგანში მზადდება 2 პროექტი - მცირე კვლევა, რომელსაც ვფიქრობთ, გაცილებით მეტი დამოუკიდებელი მუშაობის დრო სჭირდება, ვიდრე წინ ნახსენებ საგანს, რომლის შინაარსიდან გამომდინარეც, სააუდიტორიო მეცადინეობების, ჯგუფური აქტივობების და სხვ. მეტი საჭიროება იკვეთება.

ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ **საჭიროა, პროგრამის შემადგენელი საგნების კრედიტების რაოდენობა, მათ შორის საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილი დრო გადაიხედოს, მოდიფიცირდეს და მეტად მოერგოს საგნის სპეციფიკასა და შინაარსს.**

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამისა და შესაბამისი სილაბუსების ანალიზით დასტურდება, რომ სასწავლო კურსების შედეგები ფასდება შუალედური და დასკვნითი გამოცდების საშუალებით, ასევე პრეზენტაციების, ე.წ. ქვიზებისა და ზეპირი და წერითი გამოკითხვის საშუალებით. სამეცნიერო-კვლევითი უნარი ფასდება ე.წ. მცირე კვლევითი პროექტითა და რეფერატით. მოცემული შეფასების ფორმები ვფიქრობთ, კონკრეტული საგნის შედეგების ადეკვატურია, თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში სილაბუსები ნაკლებ ინფორმატიულია შეფასების კომპონენტების შინაარსისა და რუბრიკების თვალსაზრისით. ექსპერტებმა განიხილეს კონკრეტული შემთხვევები აკადემიურ პერსონალსა და საგნის კურატორებთან, რამაც ნათელი გახადა, რომ საგნის შედეგები შესაბამისი კრიტერიუმებით ფასდება და სტუდენტები ეცნობიან მოცემული დავალების შინაარსსა და შეფასების კრიტერიუმებს ონლიან პორტალი MYUG-ის საშუალებით, თუმცა, ვფიქრობთ, **მეტი სიცხადისათვის სილაბუსებშიც სასურველია შეფასების კომპონენტებისა და შესაბამისი კრიტერიუმების დეტალიზაცია** (მაგალითისთვის, სასწავლო კურსებში ,,აკადემიური წერა და კვლევა”, ,,ტექსტი და კონტექსტი” საგამოცდო შეფასების ერთ-ერთი კომპონენტია თემა, მაგრამ არ არის დაკონკრეტებული, თუ რა სახის თემის დაწერა მოეთხოვება სტუდენტს: არგუმენტულის, ახსნა-განმარტებითის, შედარებითის თუ სხვა. რისი დაკონკრეტებაც მეტად ინფორმატიულს გახდიდა სილაბუსს).

დოკუმენტაციიის ანალიზის საფუძველზე, ვფიქრობთ, პროგრამის შემადგენელ სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა დარგისათვის მნიშვნელოვანია, მრავალფეროვანი და შეესაბამება თითეული კურსის სწავლის შედეგებს; კერძოდ, თეორიული ხასიათის ლიტერატურის პარალელურად გათვალისწინებულია პრაქტიკული სახელმძღვანელოები, მათ შორის საერთაშორისო სტუდენტებისთვის (მაგ., Academic Writing: A Handbook for International Students” და სხვ.), ასევე თანამედროვე პუბლიკაციები (მაგ., Engaging "Apolitical" Adolescents: Analyzing the Popularity and Educational Potential of Dystopian Literature Post-9/11” და სხვ.), რაც მოცემული კურსების შედეგებთან, ხოლო მათი ერთობლიობა პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას უზრუნველყოფს.

სასწავლო ლიტერატურასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სილაბუსებში მითითებულია მხოლოდ სავალდებულო/ძირითადი ლიტერატურა, და აქაც ზოგ შემთხვევაში ყურადღებას იქცევს მათი დიდი რაოდენობა: 8-10, 21-ც კი (მაგ., ,,ჰეროიზმი ლიტერატურასა და საზოგადოებაში”).პროგრამის აკადემიურ პერსონალთან საუბრისას გაირკვა, რომ ზოგიერთი მასალიდან გამოიყენება რამდენიმე გვერდი და საავტორო უფლებებისა და შესაბამისი რეგულაციების გამო ვერ მოხერხდა მასალის დაკონსპექტება, რაც გასაგებია, თუმცა, **ვფიქრობთ, სასურველია, სილაბუსის ეს ბლოკი გაფორმდეს სამეცნიერო ბიბლიოგრაფიის შედგენის წესისამებრ კონკრეტული სტილის მიხედვით.**

აქვე, ძირითად ლიტერატურასთან ერთად, სასურველია, დამატებითი ლიტერატურის განსაზღვრაც, რაც მაგისტრანტს, როგორც ავტონომიურ მკვლევარს დაეხმარება სასურველი ინფორმაციის სრულყოფილად მოძიებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით; ▪ კურიკულუმის რუკა; ▪ სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები; ▪ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: ● პროგრამის შემადგენელი საგნების კრედიტების რაოდენობა, მათ შორის საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილი დრო გადაიხედოს, მოდიფიცირდეს და მეტად მოერგოს საგნის სპეციფიკასა და შინაარსს.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ● სასურველია სილაბუსებში შეფასების ფორმების და კომპონენტების მეტი დეტალიზაცია; ● დამატებითი და დამხმარე ლიტერატურის გამოყოფა კურსში გამოყენებული ლიტერატურისმითითებისას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ **_მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების

განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დოკუმენტაციის ანალიზითა და ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის მოთხოვნების შესაბამისად უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის სამეცნიერო-კვლევითი გარემოს შექმნას, სადაც მათ ხელმძღვანელობას გაუწევს კვალიფიციური პროფესურა, დაეხმარება სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცესში და შეაფასებს. სამაგისტრო ნაშრომისთვის აუცილებელი სამეცნიერი-კვლევითი უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებულია პროგრამის ძირითადი ბლოკის შემადგენელი კონკრეტული კურსები (მაგ., ,,მხატვრული ტექსტის ლინგვისტური ანალიზი", ,,ლინგვისტური კვლევის მეთოდები" ,,,აკადემიური წერა და კვლევა" და სხვ.), რომლებიც, მათში ჩაშენებული მცირე კვლევების საშუალებით ამზადებენ სტუდენტს დიდტანიანი ნაშრომისთვის. ექსპერტთა ჯგუფს შესაძლებლობა ჰქონდა გაცნობოდა მომიჯნავე პროგრამების სტუდენტების სამაგისტრო ნაშრომებს, რომლებიც, აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგებთან ერთად ადასტურებს, რომ სამაგისტრო ნაშრომის ადეკვატრად შესრულებას დიდი ყურადღება ეთმობა ხელოვნებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების სკოლის ფარგლებში. მომიჯნავე პროგრამების ფარგლებში დაგროვილი პრაქტიკის თანახმად დასტურდება, რომ სტუდენტების სამეცნიერო-კველვით საქმიანობას, განსაკუთრებით ინტერდისციპლინარული მიმართულებით ეფექტური მხარდაჭერა აქვს უნივერსიტეტის სხვადასხვა სკოლის მიერ; კონკრეტულად, ევროპული ენებისა და ფილოლოგიის დეპარტამენტი ახორციელებს კვლევით პროექტს „თემატურ სივრცეთა კონსტრუირების მეთოდოლოგია", რომელიც მიზნად ისახავს ინტერდისციპლინური კვლევის უნარ-ჩვევათა ფორმირებას. გარდა ამისა, გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული დეპარტამენტის 4 პროფესორი 2021 წელს გახდა SADAB-ის საორგანიზაციო და სამეცნიერო კომიტეტების წევრი, აღნიშნული ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, 2 საუკეთესო მოხსენების ავტორი სტუდენტისა და 3 საუკეთესო მოხსენების ავტორი პროფესორისათვის მონაწილეობა SADAB-ის ნებისმიერ საერთაშორისო კონფერენციაში უფასოა. სტუდენტებისათვის პრაქტიკული უნარჩვევების გამომუშავება ხორციელდება პროგრამის შემადგენელ კონკრეტულ კურსებში ჩაშენებული აქტივობებით, როგორიცაა, მაგ., აკადემიური წერის პრინციპები, აკადემიური სივრცეში ორგანიზებული და პრეზენტაბელური ზეპირმეტყველება, ტექსტის რედაქტირება და სხვ. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში არ არის გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტი, მაგრამ პროგრამის პერსონალთან საუბრისას ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო დამაკმაყოფილებელი პასუხი ამასთან დაკავშირებით, კერძოდ, კონკრეტული მემორანდუმებით გაფორმებული თანამშრომლობის ფარგლებში პროგრამის პოტენციური და არსებული დამსაქმებელი(გამომცემლობები, ენის შემსწავლელი ცენტრები და სხვ.) პროგრამის ხელმძღვანელის რეკომენდაციის მქონე აპლიკანტს აცნობს განსახორციელებელი საქმიანობის სპეციფიკას და მხოლოდ გარკვეული ტრენინგის გავლის შემდეგ ასაქმებს გამოცხადებული ვაკანსიების რაოდენობის შესაბამის სტუდენტს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● დამსაქმებელთან დაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები; ● თვითშეფასების ანგარიში; ● ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის თვითშეფასების ანგარიშისა და თანდარული დოკუმენტაციის გათვალისწინებით, პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული სწავლების მეთოდები, მოქნილი და რელევანტურია სწავლის შედეგების მისაღწევად. შეესაბამება მაგისტრატურის საფეხურს, რითაც შესაძლებელი ხდება სტუდენტის აქტიური ჩართვა სასწავლო პროცესში. სასწავლო კურსებში, ძირითადად, სწავლების შემდეგი მეთოდები გამოიყენება: ანალიზი და სინთეზი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობა, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, ლექცია-სემინარი, ინტერაქტიული მეცადინეობები, პრეზენტაციების წარდგენა, ზეპირსიტყვიერი, ანუ ვერბალური მეთოდი, დისკუსია/დებატები, როლური თამაშები, შემთხვევის ანალიზი. აღნიშნული მეთოდები სტუდენტს სთავაზობს სილაბუსებით გათვალისწინებული მასალის მრავალფეროვანი

მიდგომებით შესწავლას.

პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები ორიენტირებულია ინტერაქტიული სწავლებისთვის საჭირო აქტივობათა წარმოჩენით (მაგ. როლური თამაშები, დისკუსიები, ჯგუფური დავალებები. მაგ. კურსი-"განათლების ლიდერობა და მართვა"). ძირითადად, სწავლების მეთოდები, რომელთა მეშვეობითაც ხდება პროგრამის შედეგების მიღწევა, არის თანამედროვე და აქტუალური, თუმცა სხვადასხვა კურსის შედეგთა მისაღწევად, მეტწილად, მითითებულია სწავლების იდენტური მეთოდები, რომლებიც არ არის გამიჯნული აქტივობებისგან და ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ისინი არ იქნა ინდივიდუალურად შერჩეული თითოეული კურსისთვის. მაგალითად კურსის - "ინტერკულტურული კომუნიკაცია" ერთ-ერთი შედეგის მიხედვით: კურსის დასრულების შემდეგ, სტუდენტი განსაზღვრავს ეთიკური დილემის გადაჭრის გზებს და აკეთებს არჩევანს განზრახვის, შედეგების, საბოლოო მიზნისა და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით; ხოლო სხვა კურსის - "ინგლისური ენა დროსა და სივრცეში" ერთ-ერთი შედეგის მიხედვით სტუდენტი ახდენს ლინგვისტური და ისტორიული მეთოდოლოგიის მიმართების ინტერპრეტაციას; კრიტიკულად აანალიზებს ენის ცვლილებათა გამომწვევ მიზეზებს და ახდენს კურსის ფარგლებში აკუმულირებული ცოდნის სინთეზირებას ინგლისური ენის ისტორიაში გამოკვეთილ ტენდენციათა შესახებ; მაგალითისთვის მოცემული ორი სხვადასხვა კურსი განსხვავებულ შედეგებზე იდენტური მეთოდებით გადის (ინტერაქტიული ლექციები, ლექცია-სემინარები, წიგნზე მუშაობის მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, დემონსტირების მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, პრეზენტაციების წარდგენა, ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი).

ასევე, სილაბუსებში მოცემული სწავლების მეთოდებისა და აქტივობების არადიფერენცირებული სახით მითითება ბუნდოვანს ხდის მათ კონკრეტულ დანიშნულებასა და შესაბამის გამოყენებას თითოეული კურსის შედეგის მისაღწევად. მაგ. კურსში - "პროექტის მენეჯმენტი" მოცემულია სხვადასხვა მეთოდი: ინტერაქტიული ლექციები, დისკუსიები, ლექცია-სემინარები, წიგნზე მუშაობის მეთოდი, დემონსტირების მეთოდი, სიახლეთა გარჩევა, გუნდური მუშაობა, შემთხვევის შესწავლა და ანალიზი, ლიტერატურის მიმოხილვა - სადაც "სიახლეთა გარჩევა" *(რომელიც, თავისმხრივ უკავშირდება კურსის ერთ-ერთ შედეგს - პროექტთან დაკავშირებული მრავალფეროვანი ინფორმაციის დამუშავების, ანალიზის უნარი;... შეფასების ინსტრუმენტების/სისტემის და ა.შ. შერჩევა) "შესაბამისი მასალის მოძიება ელექტრონულ ფორმატში, ბიბლიოთეკაში" და "ლიტერატურის მიმოხილვა" ძირითად მეთოდებთან ერთად არის მოცემული.*

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, პროგრამის ამ მიმართულებით სრულყოფის მიზნით, საჭიროა კრიტიკულ აზროვნებასა და დილემაზე მუშაობის სპეციფიკა გათვალისწინებულ იქნეს სწავლა/სწავლების მეთოდების ბლოკში შესაბამისი აქტივობების წარმოჩენით.

კურსის -"პროექტის მენეჯმენტი" სილაბუსში მოცემული შედეგები არ არის გაფორმებული აქტიური ზმნებით, რაც შინაარსის გაგებას ბუნდოვანს ხდის (მაგ. გაცნობიერებული თანამედროვე სამყაროში პროექტის მენეჯმენტის მნიშვნელობა და როლი; პროექტის შესახებ პროფესიული და აკადემიური საზოგადოებისათვის სპეციფიური ტერმინოლოგიისა და ლექსიკის გამოყენებით ანგარიშების წარდგენის უნარი; პროექტის მართვის გეგმის შექმნისა და კრიტიკული გზის აგების უნარი და სხვ.) სასურველია, მათი სწორი ვერბალური გაფორმება.

შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტის მიხედვით, კითხვაზე - დასახელებულ უნართაგან (ინფორმაციის დამუშავების, იდეებისა და მოსაზრებების გამოთქმის, და სხვ., კვლევითი და საგანამანათლებლო საქმიანობის დაგეგმვის, ორგანიზებისა და

გუნდური მუშაობის უნარი; საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარების, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარი), რომელია უმნიშვნელოვანესი ვაკანტური პოზიციის დაკავების მსურველი ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრის ხარისხის მქონე სპეციალისტის თქვენ ორგანიზაციაში დასაქმებისათვის? გამოკითხულთა 35.5% (უმეტესობა) თვლის, რომ ორგანიზაციაში მათ მიერ დასახელებული პოზიციის დაკავების მსურველი კადრი უნდა ფლობდეს კვლევითი და საგანამანათლებლო საქმიანობის დაგეგმვის, ორგანიზებისა და **გუნდური მუშაობის უნარს**; (შრომის ბაზრის კვლევა. გვ. 26). გუნდური მუშაობისთვის გამიზნულ რაიმე კონკრეტულ მეთოდს/აქტივობას წარმოდგენილი 31 სილაბუსიდან ძირითად კურსებში მხოლოდ ერთი - "პროექტის მენეჯმენტი", ხოლო არჩევითი კურსებიდან 3 კურსი სთავაზობს სტუდენტს ("განათლების ლიდერობა და მართვა", "კურიკულუმის განვითარება", "სწავლებისა და სწავლის თეორიები და სტრატეგიები"). ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ შრომის ბაზრის კვლევის გათვალისწინებით, გუნდურ მუშაობაზე ორიენტირებული მეთოდები/აქტივობები, სასურველია, უფრო ინტენსიურად იყოს წარმოდგენილი ძირითად კურსებში. აღსანიშნია, რომ სხვადასხვა კურსის შედეგებისთვის, რომლებიც გულისხმობენ საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებას (მაგ. ,,თანმიმდევრულად, მკაფიოდ აყალიბებს და წარმოაჩენს ლიტერატურულ და კულტურულ პერსპექტივებს შორის არსებულ მიმართებასთან დაკავშირებულ საკითხებს შესაბამისი ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით" კურსში - "ტექსტი და კონტექსტი") ცალკეულ სილაბუსებში არ არის მითითებული სწავლების შესაბამისი მეთოდები, რაც სტუდენტებს დაეხმარებოდა საინფორმაციო ტექნოლოგიების უკეთ გაცნობასა და სასწავლო მიზნებისთვის გამოყენებაში. პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუირების შედეგად გამოიკვეთა მზაობა სწავლების მეთოდთა და აქტივობათა დივერსიფიცირების შესაძლებლობაზე, რაც პროგრამას უფრო სრულყოფილსა და შედეგზე ორიენტირებულს გახდის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● საგანმანათლებლო პროგრამა ● თვითშეფასების ანგარიში ● შრომის ბაზრის კვლევა ● სილაბუსები ● პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუ
რეკომენდაციები: ● კურსების სილაბუსებში, შედეგების განსხვავებული მახასიათებლების გათვალისწინებით, უნდა დიფერენცირდეს სწავლების მეთოდების ნაწილი და გაიმიჯნოს აქტივობებისგან, რაც უფრო ნათელს გახდის შედეგების მიღწევის რეალურობას და შექმნის უფრო ზუსტ ბმას სწავლების მეთოდებსა და შედეგებს შორის. ● პროგრამის ფარგლებში შემავალი ძირითადი კურსების სწავლების მეთოდების ნაწილში, რეკომენდირებულია მეტად წარმოჩინდეს გუნდური მუშაობისთვის საჭირო მეთოდები/აქტივობები, რაც დასაქმების ბაზრის კვლევის შედეგებით გამოვლენილ საჭიროებებს შესაბამისად უპასუხებს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სწავლების მეთოდთა თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით, სასურველია კურსების სილაბუსებში ცალკე გრაფა დაეთმოს კურსის ფარგლებში გამოსაყენებელ ელრესურსებს.

- ცალკეულ შემთხვევებში, სასურველია, სილაბუსში კურსის შედეგების აქტიური ზმნებით წარმოჩენა

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- o

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სააკრედიტაციო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი თვითშეფასების დოკუმენტის, კურსების სილაბუსებისა და ინტერვიუების შედეგად მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით გამოიკვეთა, რომ პროგრამაში ჩართულ მაგისტრანტთა შეფასება მოხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების N3, 05.01.07 და საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის გათვალისწინებით. პროგრამის ფარგლებში მოცემულ კურსებში შეფასების ფორმად გათვალისწინებულია შუალედური და დასკვნითი გამოცდა.
პერსონალთან და მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ სტუდენტები წინასწარ არიან ინფორმირებულები შეფასების კრიტერიუმის შესახებ ონლაინ პორტალის MYUG-ის საშუალებით.

კურსების სილაბუსებში სასწავლო სემესტრის განმავლობაში გამოკითხვის ფორმებად განსაზღვრულია ქვიზები, წერითი და ზეპირი ან შერეული სახით (მაგ. კურსი "ბიზნესკომუნიკაცია"), ასევე პროექტები/მცირე კვლევა, როგორც შუალედური გამოცდის ფორმა (მაგ. კურსი " ლინგვისტური კვლევის მეთოდები") და პრეზენტაციები (მაგ. კურსი "აკადემიური წერა და კვლევა"). ამავე საგნის მაგალითზე შეფასების პროცენტული გადანაწილება შემდეგნაირია: ლექცია (ქვიზი - ზეპირი, წერითი) 24 ქულა 24%, პრეზენტაცია - წერითი 10 ქულა (მინიმალური 2.5 ქულა), ზეპირი - 6 ქულა (მინიმალური 1.5 ქულა), სულ 16 ქულიდან: პრეზენტაციის წარდგენა - 40%, საპრეზენტაციო თემა კი 60% ით ფასდება. სილაბუსის მიხედვით თითოეულ კომპონენტში სავალდებულოა მინიმუმის გადალახვა. წინააღმდეგ შემთხვევაში განულდება მთლიანი შეფასების ქულა. 16 ქულა 16%, დასკვნითი გამოცდა 35 ქულა 35%,შუალედური 25 ქულა 25% სულ ჯამში 100%. წარმოდგენილი პროგრამის კურსებში მოცემული შუალედური შეფასები მოიცავს სხვადასხვა ტიპის დავალებებს: ღია კითხვები, განმარტებები, თემა - წერითი დავალება (მაგ. "ინგლისური დროსა და სივრცეში"), გამოკითვის ზეპირი ფორმა (მაგ. "ინტერკულტურული კომუნიკაცია"). პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და კურსდამთავრებულთა ინტერვიუების გათვალისწინებით, სტუდენტებს აქვთ დეტალური ინფორმაცია შეფასების სისტემისა და მინიმალური გადასალახი ბარიერის შესახებ ონლაინ პორტალის - my ug-ის საშუალებით. მიუხედავად აღნიშნულისა, სასურველია, წარმოდგენილ სილაბუსებშიც წარმოჩინდეს შეფასების (შუალედური, დასკვნითი) მინიმალური გადასალახი პროცენტულობა (მაგ. "ტექსტი და კონტექსტი"), რაც შეფასების სისტემას უფრო ცხადს გახდიდა სტუდენტისთვის. პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით, სასწავლო პროცესში სტუდენტს ეძლევა აკადემიურ პერსონალთან საკუთარი მიღწევებისა და მათი გაუმჯობესების გზების განხილვის, ასევე შეფასების გასაჩივრების შესაძლებლობა, რაც ხორციელდება საქართველოს უნივერსიტეტში დადგენილი, სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭებისა და დამატებითი/განმეორებითი კურსების/კომპონენტების გავლის წესის შესაბამისად. აღნიშნული შესაძლებლობები ტექნიკურად უზრუნველყოფილია UG online სისტემით, რაც ხარისხის სამსახური წარმომადგენელთანაც საუბრისასაც დადასტურდა. გამოცდის კომპონენტებში სტუდენტებს ეძლევათ ღია კითხვები, რაც მათ აძლევს შესაძლებლობას მსჯელობის (ზეპირი, წერითი) გზით წარმოაჩინონ კურსის ფარგლებში მიღებული ცოდნა და გამოიმუშავონ დასაბუთებისა თუ წარდგენის უნარები. პროგრამით გათვალისწინებული კურსებში მოცემული შეფასების ფორმები და კრიტერიუმები გამჭვირვალეა და საერთო ჯამში, სტუდენტების ობიექტურად შეფასების შესაძლებლობას იძლევა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, სილაბუსებში შეფასების სისტემის გრაფაში დაემატოს მინიმალური გადასალახი პროცენტულობის/ქულობრივი მაჩვენებლები შეფასების ყველა კომპონენტში (შუალედური, დასკვნითი, პრეზენტაცია) სტუდენტთა ამ მხრივ მეტი

ინფორმირებულობის მიზნით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. **სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**
   პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს უნივერსიტეტში დანერგილია და გამართულად ფუნქციონირებს სტუდენტის საჭიროებებზე მორგებული სერვისები. ინტერვიუების საფუძველზე, ასევე, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე დაკვირვების შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სტუდენტები უწყვეტ რეჟიმში იღებენ ინფორმაციას უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების, გაცვლითი პროგრამების, საერთაშორისო/ადგილობრივი კონფერენციების, აკადემიური და ადმინისტრაციული სიახლეების შესახებ. შესაბამისად, ინგლისური ფილოლოგიის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებსაც შესაძლებლობა ექნებათ ისარგებლონ ყველა ამ სერვისით. ძირითად საკომუნიკაციო საშუალებად, უნივერსიტეტი იყენებს მომხმარებლებზე ორიენტირებულ, ორენოვან საუნივერსიტეტო ვებ.გვერდს, რომელზეც მუდმივად ახლდება ინფორმაცია. ასევე, აქტიურად გამოიყენება სოციალური ქსელები. უნივერსიტეტი იყენებს სტუდენტურ ბაზას „ჩემი UG“, რომლის მეშვეობითაც, სტუდენტებს საშუალება ეძლევათ თვალი ადევნონ საკუთარ აკადემიურ მოსწრებას. ამავე პლათფორმაზე განთავსებულია სასწავლო კურსების სილაბუსები, მარეგულირებელი დოკუმენტები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ყველა საჭირო მასალა. სტუდენტებს საკუთარი გვერდიდან შეუძლიათ დაუკავშირდნენ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას და მოითხოვონ ყველა საჭირო სასწავლო მასალა. სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუებმა გამოკვეთა, რომ სასწავლო პროცესში, სტუდენტები მუდმივად იღებენ უკუკავშირს საკუთარი აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების თაობაზე. სერვისების უზრუნველყოფის მიზნით, პროგრამაში ჩართული აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი მუდმივად აწვდის ინფორმაციას სტუდენტებს ინფორმაციას სასწავლო განრიგში ცვლილებების შესახებ. სტუდენტები ასევე ინფორმირებული არიან უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული გაცვლითი პროგრამების შესახებ, სურვილის შემთხვევაში, შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ კონკურსებში. სტუდენტებთან ინტერვიუებმა გამოკვეთა, რომ სტუდენტების გარკვეული ნაწილი თავს იკავებს კონკურსებში მონაწილეობის მიღებისგან არაერთგვაროვანი მიზეზების გამო. ზოგიერთმა სტუდენტმა აღნიშნა, რომ კრედიტების შეუსაბამობის გამო ვერ მიიღო კონკურსში მონაწილეობა.(დეტალურად ამ საკითხის შესახებ, იხილეთ 1,1 სტანდარტი). საქართველოს უნივერსიტეტს აქვს ყველანაირი შესაბამისი პირობა იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს და გააძლიეროს ადგილობრივი სტუდენტების მობილობა საერთაშორისო უნივერსიტეტებში.სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს გეგმა და გაზარდოს სტუდენტებში საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიღების ინტერესი. ასევე, ეცადოს შეამციროს ბარიერები, რომლებიც ხელს შეუშლის სტუდენტებს პოტენციური მობილობის განხორციელებაში (მაგალითად, მოქნილი გახადოს კრედიტების აღიარების და შესაბამისობის დადგენის მექანიზმი და სტანდარტები). უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტების დასაქმების ხელშემწყობი კარიერული სამსახური, რომელიც პერიოდულად მართავს დასაქმების ფორუმებს. საჭიროების შემთხვევაში, სამსახური მზადაა ინდივიდუალური კონსტულტიება გაუწიოს სტუდენტებს სივის შედგენის, გასაუბრების გავლის თუ სხვა თემატური საკითხების გამართვა/დახვეწვისთვის. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს ინდივიდუალურ საკონსულტაციო საათებს, შესაბამისად, სტუდენტებს საშუალება აქვთ კონსულტაცია

გაიაონ აკადემიურ პერსონალთან, კურსის ფარგლებში არსებული საკითხების ირგვლივ. გაწერილი საათების გარდა, სტუდენტებს შეუძლიათ პირისპირ კომუნიკაციის გზით ეკონტაქტონ ლექტორებს. უნივერსიტეტი ყოველი სემესტრის ბოლოს, სპეციალური კითხვარების მეშვეობით ახორციელებს სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგს. გამოკითხვები ანონიმურია და სტუდენტებს ღია და დახურული კითხვებით შედგენილი კითხვარებით საშუალება ეძლევათ აზრი დააფიქსირონ კურსის მიმდინარეობასა და ლექტორთან მუშაობის პროცესზე. ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეხვედროდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის პერსონალს და დაეთვალიერებინა წიგნადი ფონდი. უნივერსიტეტს აქვს გამართული საბიბლიოთეკო რესურსები, შეძენილი აქვს სამეცნიერო ბაზები და ყველა ამ რესურსზე წვდომა სტუდენტს დისტანციურადაც შეუძლია. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში დანერგილია სტიპენდიის პროგრამა. სტუდენტებს აკადემიური მოსწრების (GPA-ს) შესაბამისად შესაძლებლობა აქვთ შეღავათები მიიღონ სწავლის გადასახადზე. უნივერსიტეტში დაცულია შეფასების სამართლიანობის კრიტერიუმები და არსებობს გასაჩივრების მექანიზმები, რომელიც სტუდენტისთვის მარტივად ხელმისაწვდომი, ნათელი და გამჭვირვალეა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● თვითშეფასების ანგარიში; ● საგანმანათლებლო პროგრამა; ● პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები; ● ვიზიტის პროცესში მიმდინარე ინტერვიუები; ● უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს გეგმა და გაზარდოს ინტერესი სტუდენტებში საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწიილეობის მიღებისა, ასევე, ეცადოს, შეამციროს ბარიერები რომლებიც ხელს შეუშლის სტუდენტებს პოტენციური მობილობის განხორციელებაში (მაგალითად, მოქნილი გახადოს *კრედიტების აღიარების და შესაბამისობის დადგენის მექანიზმი და სტანდარტები).*
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს უნივერსიტეტში სამაგისტრო ნაშრომის მომზადების და დაცვის წესს, ასევე მაგისტრანტის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობებს აწესრიგებს საქართველოს უნივერსიტეტის სამაგისტრო დებულება *(დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2020 წლის 20 ნოემბრის N 50/20 ოქმით; ცვლილება 2021 წლის 10 მარტის N 09/21 ოქმით).*

სამაგისტრო პროგრამა ახალია და მას ჯერ კურსდამთავრებულები და სტუდენტები არ ჰყავს, თუმცა უნივერსიტეტში დანერგილი პრაქტიკის შესაბამისად, სტუდენტი საკვლევი საკითხიდან გამომდინარე ირჩევს ხელმძღვანელს და შემდეგ, კონსულტაციას გადის მასთან თემასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე.

პროგრამის ხელმძღვანელი და ჩართული აკადემიური პერსონალი კვლევითი გამოცდილების მქონე პროფესორები არიან, რომლებიც ფლობენ შესაბამის დარგში მოწინავე კვლევებში მრავალწლიან ღირებულ გამოცდილებას. მათი გამოცდილება გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ისინი შეძლებენ მაგისტრანტობის კანდიდატებს გაუწიონ ასისტირება/ხელმძღვანელობა კვლევის პროცესთან დაკავშირებულ ყველა საჭირო კომპონენტში.

ამასთან, უნივერსიტეტში მოქმედებს სამაგისტრო სწავლების დებულება, რომლითაც მოწესრიგებულია სამაგისტრო ნაშრომისათვის საკვლევი თემის არჩევის, ხელმძღვანელის დანიშვნისა და შესაბამისი სამუშაო პროცესის წარმართვასთან, ასევე სამაგისტრო ნაშრომის შედგენასთან დაკავშირებული საკითხები. აღნიშნული დებულება ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის ოფიციალური ვებ-გვერდის მეშვეობით. ამასთან, ინტერვიუს შედეგებმა გამოკვეთა, რომ სტუდენტები იცნობენ აღნიშნულ პროცედურას. მათთვის ასევე ცნობილია პლაგიატის შემოწმების წესები და სავალდებულოობა. გარდა აღნიშნულისა, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა განცხადებით, სამაგისტრო ნაშრომისათვის საკვლევი საკითხის შერჩევისას ისინი სარგებლობენ თავისუფლებით, თუმცა საჭიროების შემთხვევაში, იღებენ რჩევებსა და უკუკავშირს ხელმძღვანელისაგან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით (შედეგების რუქა).
- აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები.

- ბიუჯეტი.
- პერსონალის დებულება.
- პროგრამის ხელმძღვანელების პირადი საქმე.
- უსდ-ს ადმინისტრაციასთან, პერსონალთან, დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები.
- უნივერსიტეტის ვებგვერდი

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- o

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. **სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; პროგრამის ბიუჯეტის დოკუმენტის გათვალისწინებით, პროგრამაზე სტუდენტთა მიღების სავარაუდო პროცენტულობა არის 60% (9 სტუდენტი) პირველ წელს, ხოლო მეორე წელს 67% (10 სტუდენტი). პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა არის სულ 15, რაც სტუდენტთა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაციონალური შეფარდების საფუძველს ქმნის. მსგავსი პრაქტიკის მაგალითები სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ინტერვიუებითაც დადასტურდა. პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში, იგი უძღვება 4 ძირითად და 1 არჩევით კურსს. ეს, ერთი მხრივ, სპეციფიურ ხასიათს სძენს პროგრამას თავისი დარგობრივი მიმართულების გათვალისწინებით. პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით, რაც თვითშედფასების დოკუმენტითა და ადგილზე ვიზიტითაც გამოიკვეთა. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ფლობს სამაგისტრო საფეხურზე სწავლების კვალიფიკაციასა და კომპეტენციას, რაც დასტურდება წარმოდეგენილი დოკუმენტაციითა და მათთან ჩატარებული ინტრვიუებით. პროგრამის განმახორციელებელი პირები უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად არიან ჩართულნი პროგრამაში. ადამიანური რესურსების სამსახურის უფროსთან ინტერვიუს დროს მისი მხრიდან წარმოდგენილ იქნა პერსონალის შერჩევის ეტაპები, რაც ასევე მტკიცდება საუნივერსიტეტო გვერდზე, საქართველოს უნივერსიტეტის პერსონალის დებულების დოკუმენტის სახით. პროგრამის განმახორციელებელთა პრაქტიკული და სამეცნიერო საქმიანობა სასწავლო კურსების შინაარსის შესაბამისია. პროგრამის განმახორციელებელ 15 პერსონალს შორის არის 3 აფილირებული პროფესორი, 6 აფილირებული ასოცირებული პროფესორი (ძირითადი და არჩევითი კურსების ლექტორები, საგნების კურატორები და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები) და 6 მოწვეული ლექტორი. პროგრამაში ჩართული 15 პირიდან 5 უძღვება პროგრამის ძირითადი შედეგების მიღწევისთვის შესაბამის სასწავლო კურსებს (მაგ. პროგრამის სწავლის შედეგის მიხედვით, კოდით - A2, სტუდენტი იცნობს - თანამედროვე ლინგვისტიკის პარადიგმების, ტენდენციებისა და კონცეფციების სამეცნიერო მახასიათებლებს, თანამედროვე ლინგვისტიკის შესწავლის ობიექტების კონსტრუირების პრინციპებს, თანამედროვე ლინგვისტური თეორიებისა და კვლევითი

მიდგომების განმარტებით პოტენციალს და მათ პრაქტიკულ მნიშვნელობას. ეს კი შეესაბამება კურსის - "თანამედროვე ლინგვისტიკა" სწავლის შედეგებს). პროგრამაში ჩართულია დოქტორის აკადემიური ხარისხის (ფილოლოგია, ფილოსოფია, პედაგოგიკა) 10, ხოლო მაგისტრის ხარისხის მქონე 5 პერსონალი (ფილოლოგია), მათგან ერთი დოქტორანტი ლიტერატურის ისტორიის მიმართულებით. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის რაოდენობა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას უზრუნველყოფს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით (პირადი საქმეები), როგორც პროგრამის ხელმძღვანელი, ისე პროგრამაში ჩართული აკადემიური, თუ მოწვეული პერსონალი აქტიურად არის ჩართული სამეცნიერო საქმიანობაში. პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისა და განხორციელებისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. იგი გამოირჩევა არა მხოლოდ პროფესიონალიზმით, არამედ საქმის მიმართ გამოხატული სიყვარულითა და ერთგულებით, რასაც განმახორციელებელი პერსონალი სრულად იზიარებს. პროგრამაში ჩართული პერსონალის მსგავსი დამოკიდებულება საქმის მიმართ ქმნის სასიამოვნო გარემოს მუშაობისთვის. თვითშეფასების დოკუმენტისა და ადგილზე ვიზიტის შედეგთა გათვალისწინებით, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამის წარმატებით განსახორციელებლად საჭირო ადმინისტრაციული პერსონალის რადენობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით (შედეგების რუქა). ● აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები. ● ბიუჯეტი ● პერსონალის დებულება. ● პროგრამის ხელმძღვანელების პირადი საქმე. ● უსდ-ს ადმინისტრაციასთან, პერსონალთან, დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები. ● უნივერსიტეტის ვებგვერდი
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის განმახორციელებელთა და ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუირებისა და მოწოდებული დოკუმენტაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს (იხ. საქართველოს უნივერსიტეტის თანამშრომლის შესრულებული სამუშაოს შეფასების სახელმძღვანელო) უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

წარმოდეგნილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების შედეგთა გათვალისწინებით, საქართველოს უნივერსისტეტი რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებას. საუნივერსიტეტო პროგრამების სტუდენტები სემესტრულად ახორციელებენ ლექტორთა შეფასებას ელექტრონული ფორმით "pop-ups" მექანიზმის საშუალებით საუნივერსიტეტო პორტალზე. ინტერვიუების შედეგებზე დაყრდნობით, გამოიკვეთა უარყოფითად შეფასებული ლექტორების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გასაუმჯობესებელი მხარეების განხილვის პროცედურა, რაც მდგომარეობს პირველ რიგში პროგრამის ხელმძღვანელის, ხოლო შემდეგ კი ხარისხის სამსახურის ჩართვით. აღსანიშნია, რომ ვიზიტისას ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ მსგავსი შემთხვევა ჯერ არ დაფიქსირებულა.
საქართველოს უნივერსიტეტი, წარმოდგენილი დოკუმენტაციების გათვალისწინებით, აქტიურად უჭერს მხარს საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის სამეცნიერო აქტივობებს. აფილირების წესი/დოკუმენტი სამეცნიერო აქტივობის წახალისების მიზნით განსაზღვრავს 500-დან 2000 ლარის გაცემას. ამავე დოკუმენტის გათვალისწინებით, უნივერსიტეტი განსაზღვრავს მასთან აფილირებული პერსონალის უპირატესობას მოწვეულთან მიმართებით, საათების გადანაწილების კუთხით. ასევე აქტიურად აფინანსებს პერსონალის კვლევით, სამეცნიერო აქტივობებს და ანაზღაურებს სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნების ხარჯებს.
უსდ ხარისხის სამსახურთან ერთან აქტიურად უჭერს მხარს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობებს რაც ზრდის მათი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის შედეგებს. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის საერთაშორისო კონფერენციებში იღებს მონაწილეობას, რაც მათი პირადი საქმეებითა და მოწოდებული დოკუმენტაციით დასტურდება. პერსონალის განვითარების დოკუმენტის მიხედვით - ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლასთან ერთად, აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობას ახორციელებს

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც მოიცავს აკადემიური პერსონალის განვითარებისა და სამეცნიერო პროექტების მართვის სამსახურს და ინგლისურენოვანი სამეცნიერო ჟურნალის "Caucasus Journal of Social Sciences" რედაქციას (გვ. 1); 2018-2021 წლებში ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის განმახორციელებლი პერსონალი, კერძოდ კი, ევროპული ენებისა და ფილოლოგიის დეპარატემენტის ხელმძღვანელი და პროფესორები გახდნენ საერთაშორისო ორგანიზაციების მუდმივი წევრები, საორგანიზაციო და სამეცნიერო კომიტეტების წევრები (გვ.3; პირადი საქმეები); ინტერვიუებსა და მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ საქართველოს უნივერსიტეტის ხარისხსის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით აქტიურად ტარდება ტრენინგები სწავლა/სწავლების მეთოდებთან და სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებასთან დაკავშირებით, რომელშიც ჩართულია პროგრამის განმახორციელებლი პერსონალი. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონაწილეობით განხორციელდა პროექტი "Implementing LCT at the University of Georgia: The impact of the STAR project and remaining challenges (Sustainable Learner-centered Teaching – Advanced Resource for Georgia and China)" (გვ.2) რაც ინტერვიუებითაც დადასტურდა.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი საუნივერსიტეტო მემორანდუმებით გათვალისწინებული გაცვლითი პროგრამებით იმყოფებოდა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, რაც, თავის მხრივ, პრაქტიკული საქმიანობის განვითარების შესაძლებლობას ქმნის. ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ პერსონალი, რომელიც ჩართული იყო აღნიშნულ პროგრამებში მსგავს აქტივობას მიიჩნევს როგორც გამოცდილების გაზიარების ფორმად და არა სიახლის მიღების შესაძლებლობად. აღნიშნული, ერთგვარად, ქმნის შთაბეჭდილებას, რომ გაცვლითი პროგრამები მათთვის პრაქტიკული საქმიანობის ჩვეული ფორმაა და არა სწავლების მეთოდებისა, ან სხვა მსგავსი ასპექტების დახვეწის. ინტერვიუებისას მათი მხრიდან მსგავსი განწყობა აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარებისთვის ძიების, ან სწავლების უახლეს მიდგომებზე ორიენტირებულობის ელფერს კარგავს.

პერსონალის განვითარების შესახებ მოწოდებული დოკუმენტისა და ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი საერთაშორისო ორგანიზაციის სამეცნიერო კომიტეტების წევრები არიან (მაგ. International Social Research and Behavioral Sciences) (გვ,3). გარდა ამისა, ისინი აქტიურად იღებენ მონაწილეობას პროფესიული განვითრების ტრენინგებსა და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, რაც დასტურდება მათი პირადი საქმეებითა და ინტერვიუებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს უნივერსიტეტის თანამშრომლის შესრულებული სამუშაოს შეფასების სახელმძღვანელო.
- სასწავლო პრეცესით კმაყოფილების შეფასების ფორმა სტუდენტებისთვის.
- აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პუბლიკაციების ნუსხა.
- აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების დოკუმენტი.
- პერსონალის პირადი საქმეები.
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი **უნივერსიტეტის დათვალიერების პროგრამის განხორციელება მოხდება სუნივერსიტეტის ბაზაზე არსებული ინფრასტრუქტურის გამოყენებით** უნივერსიტეტში ვიზიტისას ჯგუფმა დაათვალიერა საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურა. ბიბლიოთეკის დარბაზი გამორჩეულად მოწერიგებეული და სამუშაო გარემოზე მორგებული დაგვხვდა. წარმოდგენილი იყო მრავალფეროვანი წიგნადი ფონდი, საერთო დარბაზში გამოყოფილი იყო ინდივიდუალური სამუშაო სივრცეებიც და ინტერნეტით უზრუნველყოფილი კომპიუტერული ტექნიკა. ბიბლიოთეკაში შემთხვევითობის პრინციპით მოთხოვნილი სილაბუსებით გათვალისწინებული ლიტერატურიდან ერთი დაგვხვდა წიგნად ფონდში, მეორე ცალკეული ამონარიდის სახით იყო წარმოდგენილი, თუმცა ადვილად ხელმისაწვდომი, ხოლო მესამე რესურსი კი ვერ იქნა მოძიებული. პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ წიგნების გარკვეული ნაწილზე წვდომა მალე განხორციელდება. სტუდენტებს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სივრცეში მუშაობისას მეგობრული და საქმეზე ორიენტირებული პერსონალი ეხმარება. სტუდენტებს ასევე აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ საბიბლიოთეკო ელრესურსებით - www.jstor.com; www.ebscohost.com; Scopus; Elsevier (Science Direct). საგამოცდო სივრცე უახლესი ტექნოლოეგიების დახმარებით არის აღჭურვილი, რაც თავისმხრივ, უზრუნველყოფს საგამოცდო სივრცის გამართულ მუშაობას

და შემდეგ კი სტუდენტთა ობიექტურ შეფასებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● საუნივერსიტეტო სივრცის დათვალიერება ● სილაბუსები ● ინტერვიუები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის პროგრამის სრულყოფის მიზნით, სასურველია, სილაბუსებში გაიმიჯნოს ჩამოთვლილი ლიტერატურის ხასიათი (წიგნი, სტატია, ელრესურსი…), რაც სტუდენტს და ასევე ბიბლიოთეკის თანამშრომელს გაუადვილებს მასზე წვდომას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი ბიუჯეტი დეტალურად წარმოაჩენს პროგრამის გამართული მუშაობისთვის საჭირო რესურსის რაციონალურ გადანაწილებას. მასში ასახული მონაცემები ფარავს პროგრამის განხორციელებისთვის გასაწევი ხარჯებისა და შესაბამისი შემოსავლის ასპექტებს. განმახორციელებელი პერსონალის ანაზღაურება იდენტურია, რაც თანასწორობის პრინციპის დაცვის ხასიათს ატარებს. ბიუჯეტი გათვლილია პროგრამის სავარაუდო შევსებაზე, რაც დამატებითი რისკების პრევენციას ქმნის.
აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტი არ გულისხმობს სტუდენტური გრანტების, სამეცნიერო აქტივობის - კონფერენციაბი და სხვ. ასევე სტიპენდიების დაფინანსებას, რაც თავის მხრივ, ქმნის შთაბეჭდილებას, რომ პროგრამა ამ კუთხით არ არის სტუდენტზე ორიენტირებული. ბიუჯეტის გათვლა, მეტწილად, ხდება შემოსავლებზე, რასაც მისი ახალი პროგრამის სტატუსი განაპირობებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის ბიუჯეტი

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სტუდენტთა სამეცნიერო თუ აკადემიური აქტივობის მხარდაჭერისთვის მნიშვნელოვანია ჩართული იყოს მათი წახალისების ფორმები, რაც პროგრამას მეტ მდგრადობას შესძენს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. **სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**

   სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დადგინდა, რომ საქართველოს უნივერსტეტში შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს PDCA ციკლზე დაყრდნობით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელზე დაყრდნობით ასევე განხორციელდა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის შემუშავება. თვითშეფასებისა და აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს თანახმად, უნივერსიტეტში შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მოწესრიგებულია სხვადასხვა შიდა აქტებით, რომელთაგან ძირითადს წარმოადგენს რექტორის საბჭოს 2020 წლის 24 ნოემბრის N 51/20 ოქმით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის დებულება. დებულებით მოწესრიგებულია უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირების, შემუშავების, განხორციელებისა და გაუქმების, ასევე მისი განვითარების მექანიზმები. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის შემუშავება განხორციელდა სწორედ აღნიშნული დებულებით გათვალისწინებული ეტაპების გავლით. დებულების მიხედვით, უნივერსიტეტში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს სრულად ან ნაწილობრივ უნივერსიტეტის საკუთრებას, უნივერსიტეტში შეიძლება არსებობდეს დამოუკიდებელი საგანმანათლებლო პროგრამა და უნივერსიტეტის სტრუქტურაში შემავალი რომელიმე კომპეტენციის ცენტრის (სკოლის/დეპარტამენტის) მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამა. პროგრამა რომელიც ნაწილობრივ საკუთრებას წარმოადგენს, არის დამოუკიდებელი საგანმანათლებლო პროგრამა. უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან განხორციელებული ინტერვიუს ფარგლებში, დადგინდა, რომ დამოუკიდებელი საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირება ასევე

შეუძლია ისეთ პირს, რომელსაც უნივერსიტეტთან არ აკავშირებს შრომითი ურთიერთობები (მაგალითად, ბიზნესის, კონკრეტული დასაქმების სექტორის წარმომადგენლებს, ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს). დამოუკიდებელი საგანმანათლებლო პროგრამის არსი მდგომარეობს იმაში, რომ პირებს, რომელთაც სურთ კონკრეტულ უნარებზე, ცოდნასა და კვალიფიკაციაზე გამავალი საგანმანათლებლო პროგრამა, მათი ბიზნეს თუ სხვა ინტერესების გათვალისწინებით, უნივერსიტეტი აძლევს საშუალებას წარმოადგინონ საგანმანათლებლო პროგრამა, რომელსაც შიდა რეგულაციებით დადგენილი წესით, განიხილავს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული და დასაბუთებული არგუმენტების არსებობის შემთხვევაში, წარედგინება შესაბამის ორგანოს დასამტკიცებლად. აღნიშნულის შემდგომ, უნივერსიტეტი ერთვება პროგრამის განხორციელებაში და უზრუნველყოფს სააკრედიტაციო პროცედურების წარმართვას. ამასთან, პროგრამის განხორციელება შესაძლებელია უნივერსიტეტის მხრიდან უზრუნველყოფილი იყოს მატერიალური ან/და ადამიანური ან/და ფინანსური რესურსებით. ამასთან, უნივერსიტეტის წარმომადგენელთა განცხადებით, დაწესებულებაში ორი ასეთი პროგრამა უკვე ხორციელდება, რომლებიც ამ ეტაპზე გადიან სააკრედიტაციო წარმოებას. ერთ-ერთი პროგრამის ბაზაზე დაწესებულებამ ასევე შეიმუშავა სასერთიფიკატო კურსები, რომელმაც მსმენელთა დაინტერესება გამოიწვია.[1]

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი ინგლისური ფილოლოგიის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა წარმოადგენს უნივერსიტეტის საკუთრებას, რომელიც უნდა განხორციელდეს ხელოვნებისა და ჰუმანიტარული სკოლის ადმინისტრირებით. შესაბამისად, პროგრამის შემუშავება განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამის დებულებით გათვალისწინებული წესით, რაც მოიცავდა შემდეგ ეტაპებს:

· პროგრამის ინიცირება

· დაკომპლექტდა პროგრამაზე მომუშავე საორგანიზაციო ჯგუფი

· პროექტი წარედგინა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს

· პროგრამა განხილულ იქნა პროგრამის განვითარების საბჭოს მიერ, რომლის დადებითი გადაწყვეტილების საფუძველზე, წარედგინა აკადემიურ საბჭოს.

ვინაიდან სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა ახალია, პროგრამასთან მიმართებით ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მუშაობის შემოწმება ვერ მოხერხდა, თუმცა პროგრამის განსახორციელებლად განსაზღვრული აკადემიური და მოწვეული პერსონალი წარმოადგენს მომიჯნავე პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებს. შესაბამისად, ინტერვიუს შედეგებით დადგინდა, რომ ისინი ინტენსიურად თანამშრომლობენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და მუდმივად მიეწოდებათ ინფორმაცია პროგრამის განვითარების მიზნებისათვის, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და მათი მუშაობის შედეგების თაობაზე. ამასთან, პერიოდულად მათ უტარდებათ ტრენინგები. ამასთან, უნივერსიტეტის წარმომადგენელთა განცხადებით, მიმდინარეობს მოლაპარაკებები, მათ შორის, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის პერსონალისათვის, ტრენინგის დაგეგმვის თაობაზე PBL სწავლების მეთოდთან დაკავშირებით.

გარდა ზემოხსენებულისა, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალს მუდმივად მიეწოდება ინფორმაცია კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა კმაყოფილების გამოკითხვის თაობაზე. სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა ხორციელდება წელიწადში ორჯერ, უნივერსიტეტში მოქმედი სპეციალური შიდა ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით (My UG). გამოკითხვაში მონაწილეობა სავალდებულოა და ანონიმური. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის განვითარების მიზნებისათვის, პროგრამის ხელმძღვანელი ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს.

ამასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთა განცხადებით, პერსონალის თაობაზე კვლევის შედეგები ეცნობება პროგრამის ხელმძღვანელს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, საწყის ეტაპზე, თავად განიხილავს პერსონალის წარმომადგენელ შესაბამის პირებთან ერთად პრობლემური საკითხების გადაჭრის მიზნით.

პროგრამის განვითარების მიზნებისათვის, ასევე ხორციელდება თავად პერსონალის კვლევა, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა, რისთვისაც დაწესებულებას შემუშავებული აქვს სპეციალური კითხვარები, რომლის გამოყენება ასევე ხორციელდება ზემოხსენებული პლატფორმის მეშვეობით. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის შემუშავების მიზნებისათვის, ასევე განხორციელდა დასაქმების ბაზრის კვლევა, რომლის თაობაზე მსჯელობა მოცემულია შესაბამის სტანდარტში.

თვითშეფასებითა და თანდართული დოკუმენტაციით, ასევე აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში მომიჯნავე პროგრამის მიზნებისათვის განხორციელებული, სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიის კვლევითი დოკუმენტების დამატებით წარმოდგენისა და შესაბამისი ინტერვიუების საფუძველზე, დადებითად შეფასდა წინამდებარე ქვესტანდარტით დადგენილი წინაპირობების შესრულება დაწესებულების მიერ. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში შექმნილია და მუშაობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი სისტემა, რომელიც წარმოადგენს პრაქტიკაში დანერგილ სხვადასხვა მექანიზმთა ერთიანობას. შესაბამისად, უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული შიდა მარეგულირებელი აქტების ანალიზი, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმთა სისტემური გამოყენების მაჩვენებლები (დადასტურებული შესაბამისი მტკიცებულებებით) ცხადყოფს, რომ ყველა ის პროცესი, რაც შიდა ხარისხის უზრუნველსაყოფად გაწერილია, ასევე რეალურად ხორციელდება სამუშაო პროცესში, სრულად მიღებული და გაზიარებულია როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური პერსონალის მიერ. ამდენად, ცხადად შესამჩნევი შიდა ხარისხის მიღებული კულტურა წარმოშობს გონივრული ვარაუდის საფუძველს, რომ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა სავალდებულოდ დაემორჩილება ყველა იმ გზით შემოწმებასა და დაკვირვებას, რაც უნივერსიტეტს დადგენილი აქვს პროგრამის განვითარებისა და შემდგომი განხორციელების უზრუნველსაყოფად.

[1] უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ამ გზით განხორციელება წარმოადგენს საუკეთესო გზას განათლების პროცესში დასაქმების სფეროს წარმომადგენელთა ჩართულობისათვის. ამ მეთოდით ისინი არამხოლოდ აფასებენ უკვე შემუშავებულ პროგრამას, არამედ თავად წარმოადგენენ პროგრამის ინიციატორს იმ კომპეტენციებისა და უნარების მქონე კადრების მისაღებად, რომლებიც მათთვის საჭიროებას წარმოადგენენ. აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო პროგრამათა განხორციელების ამგვარი პროცესი წარმატებით ფუნქციონირებს პროფესიული განათლების საფეხურზე, როგორც პროფესიული კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროგრამების, ისე ზრდასრულთა განათლების პროცესის ფარგლებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია
- საგანმანათლებლო პროგრამის დებულება
- სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიის კითხვარების ფორმები
- მომიჯნავე პროგრამის ფარგლებში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებული კვლევების შედეგები, პროგრამის განვითარების საბჭოს ოქმი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ

დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): დამოუკიდებელი საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსით პროგრამის განხორციელების გზა, რაც საშუალებას აძლევს ნებისმიერ დაინტერესებულ პირის, უნივერსიტეტს წარუდგინოს მის მიერ შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამა და დაინტერესებისა და უნივერსიტეტის მხრიდან თანხმობის შემთხვევაში, განახორციელოს როგორც საკუთარი დაფინანსებით, ისე უნივერსიტეტის საბიუჯეტო რესურსების მონაწილეობის გზით. უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც რეალურად ხორციელდება სამუშაო პროცესში, სრულად მიღებული და გაზიარებულია როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური პერსონალის მიერ.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის თანახმად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა დაწესებულების მიერ წარდგენილი იქნა გარე შეფასებისათვის. პროგრამა შეფასდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საფარიკის უნივერსიტეტის პროფესორების მიერ. სამივე მათგანმა პროგრამა, მისი სტრუქტურა და კურკულუმი, ასევე მიზნები და მისაღწევი შედეგები დადებითად შეაფასა. გარდა აღნიშნულისა, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას საგანმანათლებლო

პროგრამის დებულებით დადგენილი აქვს პროგრამის არაპირდაპირი შეფასების მექანიზმები და გარე შემფასებლად მოაზრებული ჰყავს დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები, რომელთა გამოკითხვას ახორციელებს არანაკლებ სამ წელიწადში ერთხელ. აღსანიშნავია, რომ დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა ჩართულობის განხორციელების ვალდებულება დაწესებულებას ეკისრება 5.3 სტანდარტის მიხედვით. წინამდებარე სტანდარტის მიზნებისათვის კი მიზანშეწონილია მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება, განსაზღვრული პერიოდულობით უზრუნველყოს უცხოელი თუ ქართველი ექსპერტების (მაგალითად, დარგის სპეციალისტები პარტნიორი უცხოური თუ ქართული საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან, აკრედიტაციის ექსპერტები და სხვ.) ჩართულობით, რომლებიც განახორციელებენ საგანმანათლებლო პროგრამის დამოუკიდებელ შეფასებას და მისი განვითარების მიზნებისათვის, შემდგომში სამსჯელოდ, დაწესებულებას წარუდგენენ რჩევებს, რეკომენდაციებსა და შენიშვნებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • გარე შეფასების დოკუმენტები • iინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის მიზანშეწონილია, დაწესებულებამ მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება, განსაზღვრული პერიოდულობით უზრუნველყოს უცხოელი თუ ქართველი ექსპერტების (მაგალითად, დარგის სპეციალისტები პარტნიორი უცხოური თუ ქართული საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან, აკრედიტაციის ექსპერტები და სხვ.) ჩართულობით, რომლებიც განახორციელებენ საგანმანათლებლო პროგრამის დამოუკიდებელ შეფასებას და მისი განვითარების მიზნებისათვის, შემდგომში სამსჯელოდ, დაწესებულებას წარუდგენენ რჩევებს, რეკომენდაციებსა და შენიშვნებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის დებულების მე-5 თავი ადგენს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და უწყვეტი განვითარების მექანიზმებს. ამ მიზნით, უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს პროგრამის შედეგების პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მექანიზმები. არაპირდაპირი შეფასების მექანიზმები გულისხმობს დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვას, ასევე დასაქმების ბაზრის კვლევას. ამ კვლევების შედეგები შესაძლოა შემდგომ საფუძვლად დაედოს პროგრამის მოდიფიცირებას, ასეთის საჭიროების შემთხვევაში.

აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგების მიხედვით, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალმა, რომელიც იმვადროულად წარმოადგენს მომიჯნავე პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებს, დაადასტურა, რომ უნივერსიტეტი ინტენსიურად ახორციელებს მათი კმაყოფილების კვლევას. სტუდენტების განცხადებით, ყოველი სემესტრის დასასრულს შიდა საუნივერსიტეტო პლატფორმის მეშვეობით, ისინი სავალდებულოდ იღებენ მონაწილეობას გამოკითხვებში, სადაც ფასდება როგორც პროგრამა, ისე მისი განმახორციელებელი პერსონალი. თუმცა ამ დრომდე არ ყოფილა შემთხვევა, როცა მათ შენიშვნა და დამატებითი შეთავაზება გამოუთქვამთ. მათი განცხადებით, მათი სურვილებისა და მოსაზრებების გაზიარება ლექტორებთან ძირითადად პირდაპირი კომუნიკაციის გზით ხდება და აკადემიური პერსონალი ითვალისწინებს ამ მოსაზრებებს. კურსდამთავრებულების მიერ ასევე დადასტურდა ამ გამოკითხვებში მონაწილეობა მათი სტუდენტობის პერიოდში, თუმცა მათი განცხადებით, კურსდამთავრებულების სტატუსი უნივერსიტეტის პროგრამების შეფასებაში მათ მონაწილეობა არ მიუღიათ.[1] თუმცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა მომიჯნავე პროგრამის ფარგლებში განხორციელებული გამოკითხვების ანგარიშები. ამასთან, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის მიზნებისათვის, განხორციელდა პროგრამის პერსონალისა და პოტენციური დამსაქმებლების კვლევა. პროგრამის ხელმძღვანელის განცხადებით, იდეა, რომ ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა განხორციელებულიყო უნივერსიტეტში განაპირობა ერთის მხრივ ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამების კურსდამთავრებულთა მოთხოვნამ, რაც თავის მხრივ, საფუძვლად დაედო შემდგომ პერსონალისა და პოტენციური დამსაქმებლების კვლევას. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმზე მუშაობისას, თითქმის სრულად იქნა გათვალისწინებული პოტენციური დამსაქმებლების მოთხოვნები იმ კონკრეტული ცოდნისა და უნარების

თაობაზე, რასაც უნდა ფლობდეს კურსდამთავრებული დამსაქმებელთა აზრით. ამასთან, დამსაქმებელთა ზოგიერთი წარმომადგენელი ასევე ჩართულია პროგრამის განხორციელებაში და უძღვება სასწავლო კომპონენტებს.

უნივერსიტეტში ხორციელდება ლექციების მონიტორინგი, რაც გულისხმობს მათი შესაბამის სალექციო ცხრილის მიხედვით ჩატარების აღრიცხვას. უნივერსიტეტი არ ახორციელებს ლექციების მონიტორინგის ლექციაზე დასწრების გზით არც ხარისხის სამსახურის წარმომადგენლების მეშვეობით და არც კოლეგიალური შეფასების გზით. ამასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთა განცხადებით, უნივერსიტეტში არსებობდა მონიტორინგის აღნიშული მექანიზმები, თუმცა ვინაიდან პრაქტიკაში განხორციელებამ სასურველი შედეგი არ გამოიღო, უსდ-მ უარი თქვა ამ მეთოდით სამუშაოს განხორციელებაზე.

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამაზე მუშაობის პროცესში, დაწესებულებამ მოიძია და შეისწავლა მსგავსი პროგრამების როგორც ქართულ, ისე უცხოურ საგანმანათლებლო სივრცეში, გაანალიზდა ამ პროგრამების საერთო და განმასხვავებელი მხარეები როგორც ერთმანეთთან, ისე სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამასთან.

მთლიანობაში, შესაძლებელია ითქვას, რომ უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული სამუშაოები შეესაბამება 5.3 სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს, დაწესებულებას აქვს პროგრამის მონიტორინგისა და ამ მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით, პროგრამის განვითარებისათვის საჭირო პროცესების განმსაზღვრელი რეგულაციები, რაც ხორციელდება კიდეც პრაქტიკაში.

თუმცა აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია PDCA ციკლის ფარგლებში პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფისა და ეფექტიანი სამუშაო პროცესის წარმართვისათვის, ვინაიდან სწორედ მონიტორინგი წარმოადგენს უსდ-სთვის ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების საფუძველს, რომელიც მიღებულ უნდა იქნეს მისიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის გათვალისწინებით, კონკრეტული ღონისძიებების დაგეგმვის თაობაზე. შესაბამისად, სასურველია, რომ დაწესებულებამ უფრო მეტი მტკიცებულებები შექმნას კონკრეტული პროცესის განხორციელების თაობაზე, სადაც ასახული იქნება არამხოლოდ დამსაქმებლების, სტუდენტებისა თუ პერსონალის გამოკითხვების ანგარიშები, არამედ წარმოდგენილი იქნება პროგრამებზე ჩარიცხვის, პროგრესიისა და დასრულების მაჩვენებლები, დასაქმების მაჩვენებლები და ა.შ. ამასთან, სასურველია, კვლევების ანალიტიკური მხარის გაძლიერება. აღნიშნული მნიშვნელოვანია არამხოლოდ გარე შეფასების ხელშეწყობისა და სრულყოფილად წარმართვისათვის, არამედ მაქსიმალურად ინფორმირებული და გაანალიზებული შიდა გადაწყვეტილებების მიღებისათვის.

იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულება თავად წყვეტს როგორ წარმართოს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი პროცესები, ექსპერტთა ჯგუფმა დადებითად შეაფასა ის ფაქტი, რომ უსდ იყენებს და ეყრდნობა მხოლოდ იმ მექანიზმებით განხორციელებულ შედეგებს, რომლებიც პრაქტიკაში დანერგილია და რეალურად მუშაობს. თუმცა აღნიშნული არ გამორიცხავს იმ შესაძლებლობას, რომ კონკრეტული მექანიზმის დანერგვის მიზნით, სტრატეგია შემუშავდეს ან შეიცვალოს უკვე არსებული, თუკი ეს მექანიზმი თანამედროვე საგანმანათლებლი სივრცეში აპრობირებულ მეთოდს წარმოადგენს. სწორედ ასეთად მიიჩნევა ლექციების მონიტორინგი დასწრების გზით და დამკვირვებლისაგან შესაბამისი უკუკავშირის მიღება, მსჯელობა და განხილვა. ამიტომაც სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა სწორად მიაწოდოს პერსონალს ამ პროცესის არსი, მეტი ინტენსივობით იმუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მნიშვნელობისა და დანერგვის შესახებ ინფორმაციის აკადემიურ თუ მოწვეულ პერსონალამდე მიტანის მიზნით. ამასთან, სრულად უარყოფის ნაცვლად, შესაძლებელია, აღნიშნული მეთოდით მუშაობა წარმოადგენდეს პერსონალის არჩევანს, რომელსაც მათი სურვილისა და თანხმობის შემთხვევაში გამოიყენებს ხარისხის უზრუნველყოფის

სამსახური და უზრუნველყოფს შესაბამისი კომპეტენციის მქონე დამკვირვებლის შერჩევას. [1] აღსანიშნავია, რომ აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში ინტერვიუსათვის კურსდამთავრებულთა შერჩევა ხორციელდება შემთხვევითობის პრინციპით, ამასთან, პროგრამის შეფასებაში მონაწილეობა წარმოადგენს ამ კატეგორიის პირთა ნებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • საგანმანათლებლო პროგრამის დებულება • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებული გამოკითხვების ანგარიშები • აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ● სასურველია, უსდ-მ მონიტორინგისა და პერიოდული შეფასებების თაობაზე პროცესების წარმართოს უფრო მრავალფეროვანი მონაცემების გაანალიზების საფუძველზე (სტუდენტთა ჩარიცხვის, პროგრესიისა და დასრულების მაჩვენებლები, დასაქმების მაჩვენებლები). ● სასურველია, უსდ-მ ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული კვლევებში მეტად გააძლიეროს შედეგების ანალიტიკური მხარე; ● სასურველია, უსდ-მ უზრუნველყოს მუშაობა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ლექციებზე დამკვირვებლის დასწრების გზით მონიტორინგის მექანიზმის დანერგვისა და ამოქმედებისათვის.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს საქართველოს უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მაგისტრატურა;

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 48

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>

სახელი, გვარი, ხელმოწერა:
ნინო ჯოჯუა

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის</u>
სახელი, გვარი, ხელმოწერა:
ინგა დიაკონიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა:
მარიამ კილანავა

სახელი, გვარი, ხელმოწერა:
სოფიო უგრეხელიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა:
თეონა კუპრაძე